# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 20 სექტემბერი 2005 №215 (2538) ფასი 50 თეთრი


# დინამომ ომი გამოაცხადა: ძირს ფედერაცია!

## ზესტაფონის ჩემპიონობის გეგმა კაბინეტში დაიწერა?




ის, რასაც აქამდე მხოლოდ კულუარებში ლაპარაკობდნენ, გუშინ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა ხმამაღლა თქვეს და სხვა კლუბებსაც ხმის ამოღებისკენ მოუწოდეს: ფეხბურთის ფედერაცია საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ ლობირებს და ყველანაირად ცდილობს ამ გუნდის გაჩემპიონებას. არ მთავარი რაც „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ, ტექნიკურმა დირექტორმა ამირან ღიბრაძემ და მწვრთნელმა კახა ცხადაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, თუმცა მათ საინტერესო სხვაც თქვეს...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები და მავანთა ნათქვამი, ახლა ნახეთ, „ზესტაფონი“ როგორი აყვავდესო, ერთი იყო. საამისო არგუმენტებად მაშინ ის ფაქტები მოჰყავდათ, რომ ნოდარ ახალკაცის საპრეზიდენტო კანდიდატურა სწორედ „ზესტაფონმა“ წამოაყენა, ამ კლუბის პატრონი, სააქციო საზოგადოება „ფერო“ კი ფედერაციის სპონსორი იყო და არის კიდეც. „ფეროსაც“ და „ზესტაფონსაც“ კი ერთი უფროსი ჰყავს – ილია კოკაია. მერე და მერე არგუმენტები კიდევ უფრო მომრავლდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ დღეს ყველა, ქართულ ფეხბურთში ჩახედული თუ ჩაუხედავიც, ფედერაცია — „ზესტაფონის“ ორმხრივ ინტერესებზე ლაპარაკობს. და ერთხელაც აღვნიშნოთ: საფეხბურთო სამყაროში პირველად ეს ხმამაღლა „დინამომ“ თქვა...


*მეორე გვერდი*


### საქმოს რჩეული



ორმოცი ქვეყნის 38 ათასი ფეხბურთელის გამოკითხვის შედეგად მსოფლიოს 2005 წლის საუკეთესო მოთამაშედ ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონას“ თავდამსხმელი, რონალდინიო გამოაცხადეს. ფეხბურთელთა მსოფლიო ასოციაციის წევრებმა დაასახელეს 2004-05 წლების სეზონის სიმბოლური გუნდიც: დიდა, კაფუ, ალესანდრო ნესტა, ჯონ ტერი, პაოლო მალდინი, ფრენკ ლამპარდი, კლოდ მაკელელე, რონალდინიო, ზინედინ ზიდანი, სამუელ ეტოო და ანდრეი შევჩენკო.

„ამ ჯილდოს მოგება განსაკუთრებული პატივია, რადგან მას ფეხბურთელები გაძლევენ“ — განაცხადა რონალდინიომ BBC-სთვის მიცემულ ბლიც-ინტერვიუში.

# ხულიგანობამ არ გაჭრა

## სარბიელის სინი ლოკომოტივმა დაიტოვა




*საქართველოს მორაგბეთა პირველობის მეორე ტურში „ლოკომოტივს“ კიდევ ერთხელ მოუწია „სარბიელის“ სინისთვის ბრძოლა. ამჯერად სინზე დაგეშილი „ხულიგანა“ აღმოჩნდა, მაგრამ...*


*სარაგბო ამბები იხილეთ მე-12 გვერდზე.*

# ფედერაციის ბიზნესვალდებულება: ზესტაფონი ჩემპიონი უნდა გახდეს!

*ბუბა ტყავაძე:* ნუ ჩათვლით, რომ, რასაც დღეს ვიტყვი, „ვიტ ჯორჯიასთან“ ვუშინდელი მატჩის გამოძახილია. სეზონის წინაც ვთქვი, „დინამო“ სამართლიანი თამაშის წესებს დაიცავს და სათქმელს პირდაპირ იტყვის-მეთქი. ვფიქრობთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან „დინამოს“ მისამართით მიზანმიმართული ზეწოლა ხდება, რაც მსაჯობაში აისახება. ჩვენ გვაქვს ამის თქმის საფუძველი და აი, რატომ: ფეხბურთის ფედერაცია ლობირებს „ზესტაფონს“ და, რადგანაც ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატი „დინამოა“, სწორედ ჩვენზე ახდენს ზეწოლას. თავად განსაჯეთ: „ზესტაფონის“ ერთ-ერთი მწვრთნელი არის საქართველოს 21 და 19-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელი, ეროვნული გუნდის თავკაცი კი „ზესტაფონსაც“ ავარჯიშებს. სურთ, რომ „ზესტაფონი“ საქართველოს ნაკრების საბაზო გუნდი იყოს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მსაჯები იყვნენ „დინამოზე“ განაწყენებულნი. ისინი სხვადასხვა ფორმით არიან პატივისცემას მიჩვეულნი, „დინამო“ კი ამას არ აკეთებს და, შესაძლოა, მსაჯები ჩვენს მიმართ ერთგვარ პროტესტს გამოხატავენ. „დინამო“, სულაც, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის პირას რომ იყოს, კორუფციასა და ჭაობში არ ჩაეფლობა. ფედერაციაში ახალი ხალხი საქმის უკეთ საკეთებლად მოვიდა, მაგრამ თუ ისევე გააგრძელეს, როგორც უწინ იყო, კარგი არაფერი იქნება.

*კახა ცხადაძე:* „დინამომ“ ჩემპიონატი ფაქტობრივად ახალი გუნდით დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ თითქმის ნახევარი შემადგენლობა სხვადასხვა მიზეზით დაგვაკლდა. ამ ყველაფერს კი ფეხბურთის ფედერაციიდან მიზანმიმართული ზეწოლა დაერთო. თბილისის „დინამო“ ყოველთვის იყო და იქნება ქართული ფეხბურთის ფლაგმანი, ფედერაციას კი ახლა საფეხბურთო დროშის ზესტაფონში გადატანა სურს, რაც დაუშვებელია. კახა ცხადაძე სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ამბობდა და დღესაც იგივეს გავაკეთებ, რადგან უსამართლობას ვხედავ. თუ ზესტაფონში კარგი გუნდის გაკეთება და ჩემპიონობა სურთ, ამას „დინამოს“ ხარჯზე ნუ გააკეთებენ. ფედერაცია და მსაჯები „დინამოზე“ ცუდ გავლენას ახდენენ, რაც ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს, ბიჭები დათრგუნულები არიან. ცუდი მსაჯობა ერთ თამაშზე არ არის გათვლილი, უმეტეს შემთხვევებში წითელ-ყვითელ ბარათებს ფეხბურთელებს უსამართლოდ ურიგებენ და მათ დისკვალიფიკაციასაც მაშინ მისცემენ, როცა საჭიროება მოითხოვს. მაგალითად, რომელიმე ძლიერ გუნდთან თამაშის წინ ჩვენ ფეხბურთელს გააძევებენ ან მესამე ყვითელს მისცემენ, რის გამოც მას მომდევნო მატჩის გამოტოვება მოუწევს. ყველამ იცის, რომ ფედერაციის მხრიდან პირდაპირი დირექტივაა გაცემული — ჩემპიონი „ზესტაფონი“ უნდა გახდეს! ვფიქრობ, ფედერაცია ჩემი და ჩემი თაობის უმეტეს ფეხბურთელთა დისკრედიტაციასაც ახდენს, არადა, იმ თაობიდან ერთადერთი ვარ, ვინც ქართულ ფეხბურთში დარჩა. დალაქები და თარჯიმნები ფეხბურთში არ უნდა იყვნენ, ფეხბურთი ფეხბურთის მცოდნე ხალხის სამართავია.

*ამირან ღიბრაძე:* გაოცებული ვარ ფედერაციის მოქმედებით. იქ ერთმართველობაა და ყველანაირად ცდილობენ „დინამოს“ დაძირვას. სურთ, ჩვენს ხარჯზე ჩემპიონი „ზესტაფონი“ გახდეს. ბიზნესის მხრივ ეს სწორი ნაბიჯია, რადგანაც ფედერაციას „ფეროს“ მიმართ სწორედ ისეთი ვალდებულება აქვს, როგორც, მაგალითად, ჩვენ „ბეკოსთან“, ეს კომპანია ხომ „დინამოს“ სპონსორია. ნოდარ ახალკაცმა უნდა გაითვალისწინოს, რომ როცა საქართველოდან წავიდა, სხვა დრო იყო, ახლა სხვა დროა. ის კი ძველ დროშია დარჩენილი.

ჩვენი გუნდის მწვრთნელი ფეხბურთელების პრემიალურების წილში არ არის, ხელმძღვანელობა სატრანსფერო თანხებს არ იჯიბავს და არც მსაჯებს ვპატიჟებთ რესტორანში. ამას არც გავაკეთებთ და ვიმედოვნებთ, რომ სადღაც აზრი გაიმარჯვებს. ჩვენ პრეცედენტი დავუშვით და ავლაპარაკდით, სხვა გუნდებსაც მოვუწოდებთ და ალბათ ისინი დაგვეთანხმებიან. ფეხბურთის ფედერაციის ახალი შემადგენლობა ჩვენი არჩეულია და, თუ ასე გაგრძელდა, მათ საშინელ დისკომფორტს შევუქმნით.

*ბუბა ტყავაძე:* „დინამოზე“ თუ არის ზეწოლა, იგივე იქნება სხვა გუნდებზეც. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მშვიდი ცხოვრებისთვის ზოგიერთი გუნდი ერთ ჭურჭელში გაერთიანდნენ. ყველაფრის მიუხედავად, მზად ვარ, ნოდარ ახალკაცს შევხვდე და პრობლემებზე ვესაუბრო.

*კახა ცხადაძე:* ჩვენ ქვეყნის პრეზიდენტის იმედიც გვაქვს. მჯერა, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში ხდება, მიხეილ სააკაშვილის ყურამდე მალე მივა და რეაქციაც არ დააყოვნებს. ისიც მჯერა, რომ დღევანდელი პრესკონფერენციის შემდეგ ფედერაცია არ გაგვინაწყენდება და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ტრანსფერზე დაყენებულ ქართველ ფეხბურთელთა დამატების საშუალებას მოგვცემს. „ალანიასთან“ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს და იმედია, არც ფედერაცია შეგვიშლის ხელს.

*ასე დამთავრდა „დინამოს“ ხელმძღვანელობის პრესკონფერენცია. კულუარულად კი ისიც ვიცით, რომ “დინამოს“ დარად რამდენიმე კლუბიცაა ფედერაციის პოლიტიკით და მსაჯობით აღშფოთებული და თავიანთ სიტყვას, ალბათ, ისინიც მალე იტყვიან...*

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**



**ბუბა ტყავაძე, კახა ცხადაძე და ამირან ღიბრაძე ფედერაციის საქმიანობით აღშფოთებული არიან**

---

## საქართველოს 17 ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 6 ტური

### გადადებული მატჩები

თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. შევარდენი

**სპარტაკი — თბილისი**

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

თბილისი. 20 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი

**ბორჯომი — ზესტაფონი**

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნიში

### ინგლისი

პრემიერლიგა. VI ტური

არსენალი 2:0 ევერტონი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

VIII ტური

კაენი 1:1 სედანი

### შვედეთი

ალსვენსკა. XXII ტური

გიოტებორგი 1:3 იურგორდენი

ჰალმსტადი 1:1 ელფსბორგი

ჰამარბი 0:0 სუნდსვალი

ლანდსკრონა 0:1 ჰეკენი

### საბერძნეთი

ნაციონალლიგა. III ტური

ირაკლისი 0:0 პაოკ

### პორტუგალია

სუპერლიგა

IV ტური

ბელენენსეში 3:1 გიმარაეში

ნასიონალი — სპორტინგი *გვიან დამთავრდა*

### იტალია

სერია C1/A. IV ტური

პადოვა 1:1 ჯენოა

სერია C1/B. IV ტური

ნაპოლი 0:0 სასარი

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. VI ტური

ტეპლიცე 2:1 პლზენი

### ნორვეგია

ტიპელიგა. XXI ტური

ბრანი 1:0 სტარტი

---

## დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩი

# ვის დაუტკბება თასის გზა?

**დღეს** აგარაში ფრიად საინტერესო მატჩია. საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრაში „მეშაქრე“ თბილისის „ამერს“ უმასპინძლებს. ეს თამაში ორი კვირის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ რამდენიმე ამერელი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული და მატჩიც ამიტომ გადაიდო.

პირველი, თბილისური შეხვედრა სენსაციურად, „მეშაქრეს“ გამარჯვებით დასრულდა — 2:1. მაშინ მასპინძლებმა უდიდესი უპირატესობა გოლებში ვერ ასახეს და მხოლოდ რატი წინამძღვრიშვილის ერთადერთ გოლსღა გამორჩნენ, აგარელმა გიგა ბურჯანაძემ და გიორგი კვეტენაძემ კი „მეშაქრეს“ მოაგებინეს.

„ამერი“ საპასუხო მატჩისთვის აგარაში გუშინ დილით გაემგზავრა და ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ივარჯიშა კიდეც. თბილისელებს „მეშაქრესთან“ საყრდენი ნახევარმცველი დენის დობროვოლსკი დისკვალიფიკაციის, ხოლო გამთამაშებელი გიორგი დეკანოსიძე ტრავმის გამო დააკლდებიან, დანარჩენები კი თამაშისთვის მზად არიან და გუნდის პრესსამსახურის უფროსის, გიორგი დარჯანიას თქმით, სრული დატვირთვით ემზადებიან.

აგარაში მატჩი 16 საათზე დაიწყება.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

აგარა. 20 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

**მეშაქრე — ამერი (2:1)**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ფიფია (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე


**„მეშაქრე“ — „ამერის“ მატჩს ინტრიგა არ აკლია**

# ჟორჟიკაშვილის აზრები და ფაქტორები

*სამშობლოში გუშინ დაბრუნებულმა კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ესტონეთში ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი წარმატებით გაიარა — ოთხგუნდიან ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ შესარჩევი ციკლი ამით არ დასრულებულა — გაზაფხულზე ჩვენი 19-წლამდელები მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ და იქაც თუ იყოჩაღებენ, მერეღა გავლენ ფინალურ ეტაპზე.*

*მანამდე კი „სარბიელის“ კითხვებს კობა ჟორჟიკაშვილი პასუხობს...*



[illegible] ფოტო

**— რა შანსი აქვს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზე?**

— თქმა არ უნდა, მეორე შესარჩევ ეტაპზე უფრო ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს ბრძოლა. შანსებზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით, ვნახოთ, რა გუნდები შეგვხვდებიან.

**— როგორ მოემზადებით მეორე შესარჩევი ეტაპისთვის?**

— კარგი იქნება, ამხანაგურ მატჩებს თუ ვითამაშებთ, დავგეგმავთ შეკრებასაც, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ისიც, როგორ მოემზადებიან ნაკრების ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში.

**— თქვენ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელიც ხართ — რატომ ათამაშებთ 21-წლამდელთა ნაკრებში 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებს?**

— როცა 21-წლამდელთა ნაკრები ჩავიბარე, გუნდს ფინალურ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსიღა ჰქონდა, თეორიულ და პრაქტიკული შანსებს შორის კი დიდი განსხვავებაა. თანაც, 21-წლამდელთა ნაკრების ზოგიერთ ფეხბურთელს მათი მონაცემებიდან გამომდინარე, არ ჰქონდა ეროვნულ ნაკრებში გადასვლის შანსი. კიდევ ის, რომ 19-წლამდელთა ნაკრების შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო რჩებოდა და გადავწყვიტეთ, რამდენიმე ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებში გვეთამაშებინა. აი, ეს იყო იმის მიზეზი, თორემ ზოგადად, იმის მომხრე ვარ, რომ ახალგაზრდებმა თავიანთი ასაკობრივ ნაკრებებში ითამაშონ.

## ასეთი მტრობა არსად არ არის

**— თქვით, 21-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს ეროვნული ნაკრებისთვის საჭირო მონაცემები არ აქვთო — ასე ფიქრობთ გოჩა ხოჯავასა და სანდრო იაშვილზეც, რომლებიც უკრაინასთან და დანიასთან არ გამოიძახეთ?**

— ამ ფეხბურთელებს მართლაც აქვთ იმის პოტენციალი, რომ ეროვნულ ნაკრებში ითამაშონ. ხოჯავასაც და იაშვილსაც ძალიან კარგად ვიცნობ, მათ პრობლემები აქვთ საფეხბურთო ხასიათთან. შესაძლოა, ახალგაზრდული ნაკრების მომდევნო მატჩებში ისინი გამოვიძახოთ.

**— 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რა არის?**

— ამ ასაკში ბევრი კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელი ფუჭდება, ველარ იზრდება, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი შრომაა. რაც უნდა მოხდეს, ფეხბურთელი არ უნდა მოდუნდეს და შრომა უნდა გააგრძელოს.

**— საქართველოს ეროვნული ნაკრები გაიოზ დარსაძის ხელში ერთი ფორვარდით თამაშობს — თქვენც იგივე მოდელს ირჩევთ 19-წლამდელთა ნაკრებში?**

— ჩვენ სამი შემტევით ვთამაშობთ, ბექა გოცირიძე და რატი წინამძღვრიშვილი გამოკვეთილი ფორვარდები არიან, მათ ოდნავ უკან კი ირაკლი ჩირიკაშვილია გამწესებული.

**— ამბობენ, რომ გაიოზ დარსაძის დირექტივებით მოქმედებთ...**

— არანაირი დიქტატურა არ არის, მე თავისუფალი არჩევანის საშუალება მაქვს, შემადგენლობასაც ჩემი შეხედულებით ვირჩევ. დარსაძესა და ჩემ შორის თანამშრომლობაა და არა დიქტატი.

**— 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელთა ნაწილი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობს — ამას დამაბრკოლებელ ფაქტორად მიიჩნევთ?**

— სასურველია, ყველა უმაღლეს ლიგაში თამაშობდეს, მაგრამ ასე არ ხდება. მაგალითად, „ამერში“ მოთამაშე 19-წლამდელები პირველი გუნდის ძირითადში ხშირად ვერ ხვდებიან, მაგრამ კარგად მუშაობენ, ნაკრებში სათანადოდ მომზადებულები მოდიან და მათ მიმართ პრეტენზიებიც არ მაქვს.

**— რა ხელისშემშლელ ფაქტორებს ხვდებით?**

— ქართულ ფეხბურთში ხალხი დაძაბული და გაღიზიანებულია, ერთმანეთის შურთ და მტრად ეკიდებიან. ვფიქრობ, ასეთი მასშტაბებით ეს არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ხდება.

**— ჩვენი 19-წლამდელების ფიზიკური მომზადებით კმაყოფილი ხართ?**

— ეგრეა, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ათლეტიზმის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი და მკაფიო ხდება — 19-21 წლის ქართული ფეხბურთელები კარგ ევროპულ კლუბებში უნდა წავიდნენ, რათა კარგ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ.

**— თქვენმა გაწვრთნილმა 18-წლამდელთა ნაკრებმა ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე გაიმარჯვა, ახლა კი 19-წლამდელთა ნაკრები შესარჩევ ტურნირზე აპირველეთ — რა შეგძინათ ამ წარმატებებმა?**

— პირველ რიგში, რწმენა, მაგრამ ეს წარმატებები მთლიანად იმ გუნდის გამარჯვებაა, ფეხბურთის ფედერაციის სათავეში რომ მოვიდა. ეს პირადად გაიოზ დარსაძის დამსახურებაცაა, ვინც კარგი ხანი მუშაობდა 19-წლამდელთა ნაკრების ბევრ ფეხბურთელთან. და კიდევ: ეს წარმატებები ყველა იმ მწვრთნელის დამსახურებაცაა, ამ ფეხბურთელებთან რომ უმუშავიათ.

**დავით თავართქილაძე**

# ვერ გაგვაჩერეს!

## სამი ნაბიჯი პოლონეთამდე

*ესტონეთში გასრულებულ 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე კობა ჟორჟიკაშვილის გუნდს მხოლოდ სლოვენია შეერკინა ტოლ-სწორად, თორემ ლიტვასა და ესტონეთს, ფაქტობრივად, შანსიც არ ჰქონიათ.*

*მოკლედ, ასეა: პირველი ადგილი და სამი ნაბიჯი ფინალურ ეტაპამდე — გაცნობებთ, რომ მეორე შესარჩევ ეტაპზე ქართველები ისევ ოთხგუნდა ჯგუფში მოხვდებიან, იქაც სამი მეტოქის ჩამოტოვება და... ევროპის საუკეთესო რვა გუნდში ხარ: ევროპის ჩემპიონატი გაისად, 18-29 ივლისს პოლონეთში ჩატარდება...*



[illegible] ფოტო

რატი წინამძღვრიშვილი



მირზა ბჟალავა



ვადიმ [illegible] ფოტოები

გიორგი განუგრავა

„ამერის“ ფორვარდმა *რატი წინამძღვრიშვილმა* ლიტვასაც და მასპინძელ ესტონეთსაც წყვილად გაუტანა, რითაც ჯგუფის მთავარი ბომბარდირიც გახდა.

— მეტიც შემეძლო, მაგრამ ამითაც კმაყოფილი ვარ — გვითხრა გუშინ რატიმ — ლიტვასთან გატანილი ორივე გოლი ძალიან ლამაზი გამომივიდა. პირველად საჯარიმოში მკერდზე მივიღე ბურთი და შემოტრიალებით დავარტყი. მეორე უფრო კარგი იყო: ცენტრში მივიღე ბურთი, სამი მეტოქე მოვატყუე და საჯარიმოს გარედან გავიტანე. ესტონეთთანაც კარგი გოლები შევაგდე.

...სლოვენიასთან ორი მომენტი კი მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ამ თამაშში გაგვიჭირდა, უპირატესობა ჩვენი კი იყო, მაგრამ წვიმამ გაგვაწვალა. თანაც წელიც მტკიოდა და ფეხიც მაწუხებდა. საბედნიეროდ, ჯანმრთელობის მხრივ საშიში არაფერია, თამაში შემიძლია.

...იოლი მატჩები არ გვქონია, თუმცა პირველივე წუთებში ორ გოლს რომ გაიტან, მერე ფრთები გეშლება და თამაში მიგყავს. ვფიქრობ, ღირსეულად გავედით პირველ ადგილზე.

...მეკარე ნუკრი რევიშვილმა ძალიან კარგად ითამაშა, თუმცა იგივეს ვიტყოდი სხვებზეც — ყველანი მონდომებულები ვიყავით.

...იქაურებს არც შევუქივართ და არც შეურაცხყოფა მოუყენებიათ, ჩვეულებრივად გვიმასპინძლეს. ეგაა, ლიტველმა ფეხბურთელებმა მოგვიშალეს ნერვები — სასტუმროში ჩვენს ზედა სართულზე ცხოვრობდნენ და ფეხებს აბრახუნებდნენ, არ გვაძინებდნენ.

წინამძღვრიშვილის გარდა, 19-წლამდელთა ნაკრებში კიდევ ოთხი ამერელი თამაშობდა, მათ შორის, ნახევარმცველი *მირზა ბჟალავაც*. ცხადია, მირზაც უზომოდ კმაყოფილია, შედეგთან ერთად თამაშიც ხარისხიანი ვაჩვენეთო:

— ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშმა იმხელა გამოცდილება შეგვძინა, რომ ესტონეთში დამშვიდებულები და ყველანაირად მომზადებულები ჩავედით. მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა გარჯა მოგვიწონა და, ცხადია, მეორე შესარჩევი ეტაპის გავლასაც ვგეგმავთ, რაც რეალურად მიმაჩნია.

...ურიგოდ არ მითამაშია. ვფიქრობ, ჩემს საქმეს ნორმალურად ვაკეთებდი. საერთოდ, მონდომებულებიც ვიყავით და კლასითაც მაღლა ვიდექით მეტოქეებზე. განსაკუთრებით კი, რატი წინამძღვრიშვილს გამოვარჩევ — სამ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა და რაღაა სათქმელი.

19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი *გიორგი განუგრავა* ეროვნული გუნდის წევრიცაა, გამოცდილებაც სხვებზე ოდნავ მეტი აქვს და, ბუნებრივია, მისი აზრიც საინტერესო უნდა იყოს.

უსუსტესი გუნდებისთვის რომ მოგვეგო, კიდევ არაფერი, მაგრამ ლიტვაც და ესტონეთიც კარგ ფეხბურთს თამაშობენ და ამიტომაც ვარ კმაყოფილი, რომ მათ შანსი არ დავუტოვეთო — გვითხრა გიორგიმ.

— მეტოქეებზე ძლიერები ვიყავით, როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურადაც. სამივე მატჩი დამაჯერებლად ჩავატარეთ და არც ერთხელ არ ყოფილა ისეთი მომენტი, პანიკაში ჩავვარდნილიყავით და დავბნეულიყავით. ბუნებრივია, ახალგაზრდულში თამაშმა უდიდესი გამოცდილება შეგვძინა — თავდაჯერებულებიც ვიყავით და თავისუფლადაც ვითამაშეთ.

...პირველივე ტურში ლიტვასთან მოგების შემდეგ იქაურებმა მთავარ ფავორიტებად ჩაგვთვალეს. ისე, ესტონელები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ იჩენენ ფეხბურთისადმი, პრესაშიც თითქმის არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა.

...ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, ორი საგოლე პასი გავაკეთე და შავ სამუშაოსაც ვასრულებდი, მაგრამ მეტიც შემიძლია. ცხადია, იგივეს ვიტყვი მთლიანად გუნდზე. პოტენციალი დიდია და იმედია, მეორე შესარჩევ ეტაპზე უკეთეს ფეხბურთს ვაჩვენებთ.

...ბუნებრივია, პირველ ადგილზე გასვლამ ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედა ჩვენზე. ახალი მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა და ეს უნდა მოვახერხოთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში



„აიაქსთან" ორი გოლის გამტანი შოთა არველაძე ბომბარდირებს ლიდერობს

# 90-წუთიანი ფეხბურთი

## ჯაკობიამ და ციმაკურიძემ დიდი უკრაინელები გააბრაზეს

*ექვსი გოლი და ერთი საგოლე პასი — ასეთია ქართველ ლეგიონერთა მონაგარი ამ უქმეებზე. საერთო ჯამშიც, შეიძლება ითქვას, ჩვენებურებს მეტ-ნაკლებად წარმატებული მატჩები ჰქონდათ და ჩვენც გამორჩეულ ამბებზე მოგითხრობთ...*

*ამ უქმეების გმირი, ისევე, როგორც აქამდე ჩატარებული ყველა საამსეზონო ტურისა, ისევ შოთა არველაძეა.* „ალკმაარის" ქართველმა ფორვარდმა თავის ყოფილ გუნდ „აიაქსს" ორი გოლი გაუტანა და ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს — ხუთ მატჩში ცხრა გოლი და ექვსი საგოლე პასი მართლაც შეუდარებელი შედეგია. თანაც, ისიც ვთქვათ, რომ „ალკმაარი" ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს ჩემპიონატს და კონკურენტებს მიახლოვების საშუალებას არ აძლევს.

*„გერმანელმა" ქართველებმა „მშვიდობიანად" ჩაათავეს მორიგი ტური.* ***ლევან კობიაშვილის*** „შალკე" ბერლინის „ჰერტას" დაუზავდა (0:0), ***ლევან ცქიტიშვილის*** „ვოლფსბურგმა" „ნიურნბერგთან" გაიყო ქულები (1:1), ხოლო მეორებუნდესლიგელი ***ალექსანდრე იაშვილის*** „ფრაიბურგი" „კარლსრუეს" დაშორდა უგოლოდ. სამივე ქართველმა სრულად ითამაშა.

*რუსულ პრემიერლიგაში მხოლოდ სამი ქართველი გამოჩნდა და სამივე ერთ მატჩში:* ***გიორგი ქინქლაძისა*** და ***ლაშა სალუქვაძის*** „რუბინმა" ***გიორგი დემეტრაძის*** „ალანიას" 4:2 მოუგო. ამათგან ყველაზე დაბალი შეფასება ქინქლაძემ მიიღო, რომელზედაც ყაზანელთა თავკაცმა ყურბან ბერდიევმა პრესკონფერენციაზე თქვა, ადაპტაციისთვის დრო სჭირდება, გამოცდილი ფეხბურთელია და იმედი მაქვს, მალე მოუმატებსო.

*უკრაინაში ორი ქართული გოლი გავიდა, ორივე ჩემპიონატის ლიდერების კარში და ორივე ბოლო წუთებზე.* ***ლაშა ჯაკობიამ*** 87-ე წუთზე გაუთანაბრა კიევის „დინამოს" და „მეტალისტმაც" დედაქალაქიდან საჭირო ქულა წაიღო, სტალელმა ***გიორგი ციმაკურიძემ*** კი სულაც წამებით დაასწრო მსაჯის საფინალო სასტვენს და თავის ყოფილ გუნდ დონეცკის „შახტარს" ხასიათი წაუხდინა — 1:1.

*უიღბლო გამოდგა ზურაბ ხიზანიშვილის პირველი მატჩი „ბლექბერნის" მშობლიურ „ივუდ პარკზე".* გასაკვირია და, მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს დაბეჩავებულ „ნიუკასლს" და 0:3 დამარცხდნენ, თანაც სამივე გოლი მეორე ტაიმში გაუშვეს. ჩვენთვის საინტერესო ისლაა, რომ ხიზანიშვილს არც ერთ გოლში არ მიუძღვის ბრალი.

**ქახა შალამბერიძე**



სეზონის მეექვსე გოლი ლაშა ჯაკობიამ კიევის „დინამოს" გაუტანა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | სამპდორია 1:2 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰერტა 0:0 | 90 | | 5 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | ნიურნბერგი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 11 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლსრუე 0:0 | 90 | | 5 | 0 | 10 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლსრუე 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ჰერტა (მ) 0:0 | 90 | | 7 | 1 | 4 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | რეგენსბურგი 2:1 | 90 | 1 გოლი | 5 | 3 | 12 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ნიუკასლი 0:3 | 90 | | 2 | 0 | 18 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | აიაქსი 4:2 | 90 | 2 გოლი | 5 | 9 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | დენ ჰააგი 0:0 | 74 | შეცვალეს | 5 | 0 | 12 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რიდი 1:2 | 90 | | 8 | 4 | 6 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | როსტოვი 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 22 | 1 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | როსტოვი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | როსტოვი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | როსტოვი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | შ | ლოკომოტივი 1:1 | 0 | | 8 | 1 | 14 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | შ | ლოკომოტივი 1:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 14 |
| ბექა ყღენტი | ტორპედო | შ | ზენიტი1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| ანზორ კალაძე | ტორპედო | შ | ზენიტი1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 0 | ტრანსფერზეა | 17 | 1 | 15 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 0 | ტრანსფერზეა | 6 | 0 | 15 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 0 | ტრანსფერზეა | 13 | 0 | 15 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 0 | ტრანსფერზეა | 13 | 0 | 15 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 0 | 15 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 0 | ტრანსფერზეა | 7 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | რუბინი 2:4 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 2 | 15 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | შ | ალანია 4:2 | 59 | შეცვალეს | 3 | 0 | 6 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ალანია 4:2 | 90 | | 18 | 0 | 6 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | შ | ალანია 4:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | კამაზი 2:0 | 0 | | 12 | 0 | 2 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | კამაზი 2:0 | 0 | | 5 | 0 | 2 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ხიმკი 0:2 | 0 | | 15 | 0 | 4 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | მ. კუზბასი 1:2 | 90 | | 28 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | ს | ყუბანი 0:3 | 0 | | 11 | 0 | 12 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | ანჟი 2:1 | 90 | 1 გოლი | 28 | 4 | 18 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | ლოკომოტივი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 30 | 2 | 15 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | შ | ორიოლი 2:1 | 0 | | 8 | 0 | 9 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | არსენალი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | არსენალი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | დინამო 2:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 9 | 6 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ილიჩევეცი 0:1 | 90 | | 9 | 3 | 9 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | შახტარი 1:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 9 | 1 | 12 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ვოლინი 3:0 | 90 | | 2 | 0 | 3 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | მეტალისტი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | კალამარია 2:0 | 90 | | 3 | 0 | 2 |
| ამირან მუჯირი | კალითეა | შ | ოლიმპიაკოსი 0:3 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| **შვეიცარია. თასის მეორე ეტაპი** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | ბულახი 8:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა, საგ. პასი | | | |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | დიგენისი 1:1 | 54 | შეცვალეს | 3 | 1 | 7 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | დიგენისი 1:1 | 0 | | 1 | 1 | 7 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | დიგენისი 1:1 | 0 | | 1 | 0 | 7 |
| ლევან ქებაძე | აშნა | შ | აელ 0:0 | 56 | შეცვალეს | 3 | 1 | 8 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 0 | | 14 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 74 | შეცვალეს | 16 | 1 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 90 | | 19 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | ვენტა 3:0 | 0 | | 6 | 0 | 2 |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ს | ოლიმპი 4:0 | 90 | | 21 | 2 | 1 |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | რიგა 1:1 | 90 | | 17 | 2 | 3 |
| გოგა მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | რიგა 1:1 | 0 | | 6 | 1 | 3 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ორდაბასი 0:3 | 90 | | 19 | 5 | 11 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | შახტიორი 0:2 | 0 | | 15 | 0 | 12 |
| დავით ჭიჭველიშვილი | ატირაუ | ს | ალმათი 1:0 | 90 | | 7 | 0 | 8 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | ს | ირტიში 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# პრიმერაო, რაო?
## ესპანიოლმა რეალს მს-აჯობა



ვანდერლეი ლუშემბურგოს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს

**ბოლო** კვირაში „რეალმა" სამი მატჩი წააგო, რასაც ცხადია, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. თითქოს ყველაზე ლოგიკური გამოსავალი ვანდერლეი ლუშემბურგოს მოხსნა უნდა ყოფილიყო, რასაც „სამეფო კლუბის" ქომაგთა დიდი ნაწილიც ითხოვდა, მაგრამ „რეალის" ზემო ეშელონებს ჯერ არაფერი უთქვამთ, ხოლო თავად ლუშემბურგო იხტიბარს არ იტეხს.

„კრიტიკას ჩვეულებრივად ვეგუბეი, ეს ფეხბურთის ნაწილია. მე კლუბის უფროსობასთან, ფლორენტინო პერესთან, ემილიო ბუტრაგენიოსთან და არიგო საკისთან ხშირი კონტაქტი მაქვს და ისინი მუდამ ღიმილით მეგებებიან. „რეალთან" კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის შეწყვეტაზე საუბარი არც არის. ორი მარცხით სეზონი არ დამთავრებულა. ჯერ ყველაფერი წინაა, მთავარია, სერიოზულად ვიმუშაოთ" — განაცხადა ლუშემბურგომ.

ამის შემდეგ ბრაზილიელი საკმაოდ ცნობილ არბიტრ როდრიგეს სანტიაგოს მისდგა, „ესპანიოლთან" მან წაგვაგებინაო და „რეალის" უკლებლივ ყველა ფეხბურთელიც დაეთანხმა.

საქმე ის არის, რომ როდესაც კატალონიელებმა კასილიასის კარში ერთადერთი გოლი შეაგდეს, არბიტრმა თავდაპირველად მადრიდელთა კარისკენ პენალტი დანიშნა, რადგანაც სერხიო რამოსი ივან დე ლა პენიას ეუხეშა, თუმცა ბარკემ არ აცადა, ბურთს იქვე დაამატა და სანტიაგომაც გადაწყვეტილება შეცვალა.

„მსაჯი ისევ ჩვენ წინააღმდეგ იყო. სანტიაგო მთელი მატჩის განმავლობაში „ესპანიოლის" სასარგებლოდ უსტვენდა. იმ ეპიზოდში, როდესაც გოლი გავიდა, ყველანი გავჩერდით, რადგანაც თამაში შეჩერებული იყო, მაგრამ მან გადაწყვეტილება გაუმართლებლად შეცვალა" — აღნიშნა მადრიდელთა მცველმა პაბლო გარსიამ.

„ესპანიოლის" ფეხბურთელებმა თქვეს, შეიძლება მსაჯს გადაწყვეტილება არ უნდა შეეცვალა, მაგრამ პენალტი იყო და გოლს მაინც შევაგდებდითო.

მერე რეალელებმა „სელტასთან" მატჩიც გაიხსენეს, აქაოდა, მაშინ გადამწყვეტი გოლი რომ გაგვიტანეს, არ უნდა ჩათვლილიყო, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო. ამასობაში კი „სამეფო კლუბი" მე-15 ადგილზეა...

„რეალის" მარცხებმა ცოტა არ იყოს, დაჩრდილა პრიმერადივიზიონის სხვა ამბები. იქ კიწააგო „ბარსელონამაც", ხოლო ცხრილის სათავეში „ხეტაფე" და „დეპორტივო" მოკალათებულან.

„ბარსას" თავკაცმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა: „მეორე ტაიმში ცუდად ვითამაშეთ და წავაგეთ კიდეც. ეს მატჩი სამაგალითო უნდა გახდეს. როგორც წინა ეს სეზონიც ვერ დავიწყეთ კარგად და კვლავ ვითარების გამოსწორებაა საჭირო".

„არაფერი შემიცვლია. უბრალოდ, ბიჭებმა თავისი პოტენციალი გამოავლინეს. ასე უნდა გავაგრძელოთ და ყველაფერი კარგად იქნება" — ეს კი „ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელის კარლოს ბიანკის სიტყვებია.

პატარა პატარა მადრიდული კლუბის „ხეტაფეს" უფროსობა კი ბრწყინვალე დებიუტის მიუხედავად, ვითარებას რეალურად აფასებს.

„ჩვენი მიზანი იგივეა — პრიმერადივიზიონში ადგილის შენარჩუნება და წარმატებული დასაწყისი ამაში დაგვეხმარება. დანარჩენი კი თანდათან გამოჩნდება. მთავარია, ასე თამაში გავაგრძელოთ, მონდომებით და თავდადებით" — თქვა „ხეტაფეს" პრეზიდენტმა ანხელ ტორესმა.

რაც შეეხება „დეპორტივოს", პრესაში უკვე ალაპარაკდნენ, რომ ხოაკინ კაპაროსმა მოლოდინი გაამართლა და კლუბში ვითარებას ნელნელა ალაგებს, ასე რომ, ლა კორუნიელებს სულ ცოტა უეფას თასის მოპოვება არ გაუჭირდებათო.

**ბექა ცაგარეიშვილი**



მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელები „ბარსელონას" კარში გატანილ გოლს ხარობენ




პაოლო მალდინის (მარცხნივ) დიდ რეკორდამდე 61 მატჩი დარჩა

# იუვე ჩვენ რას დაგვაკლებს...

**იტალიის** პირველობის მესამე ტურის გამოხმაურება შეგვიძლია 800-ით დავიწყოთ, ვინაიდან თავად ტური, ზოგის მოგებისა და ზოგის წაგების მიუხედავად ჩვეულებრივი გახლდათ, — დაგვეთანხმებით, მესამე ტურს ძნელია გამორჩეულობა მოთხოვო — აი, „მილანის" 37 წლის კაპიტნის, პაოლო მალდინისთვის კი ის საგანგებო იყო, ვინაიდან, შავწითელი მაისურით 800-ე მატჩი ითამაშა. გარდა ამისა, ეს მატჩი მალდინისთვის გახლდათ 570-ე სერია **A**-ში, ხოლო სერია **A**-ში 570 თამაში იმას ნიშნავს, რომ ლეგენდარულ დინო ძოფს საყოველთაო რეკორდი ერთპიროვნულად აღარ ეკუთვნის, შემდეგ ტურში კი საერთოდაც აღარ იქნება მისი.

ბარემ აქვე ბოლომდე მივაგოთ პატივი მალდინის და სურათის სისრულისთვის ვთქვათ, რომ ყველა შესაძლო საკლუბო ტიტულის მფლობელმა პირველად იტალიის პირველობა 1985 წლის 20 იანვარს, უდინეში დააჭაშნიკა.

რამდენადაც იტალიელი ჟურნალისტები წერენ, პაოლო მალდინის შემდეგი მიზანი პროფესიულ ფეხბურთში 1000 თამაშის ჩატარებაა. ბარემ აქვე, დავძინოთ, რომ იტალიის ნაკრებში მას 126 მატჩი აქვს გადახდენილი, პლუს ამ ყველაფერს მოვათვალოთ **B** ნაკრების და ახალგაზრდული „ატურას" შეხვედრები და გამოვა, რომ ზემოხსენებულ 1000 მატჩამდე სულ 61 აკლია.

რაც შეეხება ტურის ულამაზეს გოლს, ის „კალიარის" მოთამაშემ დავიდ სუაცომ შეუგდო „მესინას". სუაცოს გოლი ძალიან ჰგავდა გასული კვირის შუაში კაკას მიერ „ფენერბაჩეს" კარში შეგდებულს. ფეხბურთელმა ბურთი იხელთა და რამდენიმე მეტოქის მოტყუების შემდეგ კარში ეფექტურად დაუმიზნა.

სხვათაშორის, იმავე შეხვედრაში ლამაზი გოლი გაიტანა „მესინამაც". კერძოდ, მასიმო დონატიმ აკურატული და იმავდროულად ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, რომელიც შემდეგ ზემოხსენებულმა სუაცომ გაათანაბრა.

ლამაზი იყო ალესანდრო დელ პიეროს საჯარიმო დარტყმაც, თუმცა დელ პიეროზე საუბრისას მთავარი აქცენტი უფრო იმაზე გავაკეთოთ, რომ მან საერთოდ ჩინებულად ითამაშა და იტალიელმა ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მოგეხსენებათ, დელ პიერომ „ასკოლისთან" შეხვედრაში „იუვენტუსის" ორი გოლი გაიტანა — პენალტით და ზემოხსენებული ლამაზი საჯარიმო დარტყმით.

„მე ძალიან წყნარად ვარ და ასევე პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონიც, — ეს სიტყვები კი დელ პიეროსთან შუაში აღარაა, ის „მილანის" ვიცე-პრეზიდენტს, ადრიანო გალიანის ეკუთვნის, რომლის გუნდმაც მესამე ტურში გენუაში „სამპდორიასთან" წააგო, — ჩვენ საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ სამწუხაროდ უყურადღებობის გამო დავისაჯეთ. დღეს ჩვენს გუნდში ასეთი ვითარებაა: მთელ რიგ საკითხებს აშკარად სჭირდება გამოსწორება, თუმცა იმაში, რომ შემტევი გუნდის კარში კონტრშეტევით გოლი გააქვთ, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. სხვა ამბავია, რომ სასურველია ნაკლები გავუშვათ".

მილანელთა მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „ჩვენ ჯიუტად განვაგრძობთ არჩეული სწორი გზით სიარულს და აქვე მინდა დაგარწმუნოთ, რომ დღესაც ძალიან კარგად ვთამაშობთ. სხვათაშორის, გაშვებული ორი გოლიდან ორივე აუტის შემდეგ გახლდათ. მოკლედ სამუშაო საკითხებს ვხედავ, მაგრამ ასევე ვხედავ ჩემს აგრესიულ და მოწადინებულ გუნდს. ამიტომ ცხრილში „იუვეს" დაწინაურებისა მითუმეტეს სეზონის დასაწყისში სულაც არ მეშინია".

შემდეგ ტურში „მილანი" „ლაციოს" მასპინძლობს, ხოლო „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე „უდინეზესთან" უდინეში მიდის.

**პაპუნა კედია**

## VI ტური

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი | : | არმინია |
| აინტრახტი | : | ბაიერნი |
| გლადბახი | : | ვერდერი |
| ჰანოვერი | : | ვოლფსბურგი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ნიურნბერგი | : | შალკე |
| შტუტგარტი | : | ჰამბურგი |
| ლაუტერნი | : | მაინცი |
| ლევერკუზენი | : | კიოლნი |
| ჰერტა | : | დუისბურგი |

## სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:3 | 15 |
| ვერდერი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:6 | 13 |
| ჰამბურგი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| შალკე | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| კიოლნი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 7 |
| ლაუტერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| ჰანოვერი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| ვოლფსბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| დორტმუნდი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| გლადბახი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| არმინია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| აინტრახტი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| დუისბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 7:12 | 2 |
| ნიურნბერგი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| მაინცი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:10 | 0 |

## გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# ბაიერნს მეტიც შეუძლია



რუდი ფიოლერს „ლევერკუზენის“ თავკაცობა არ სურს

**ათკაცა** „ჰერტასთან“ დაზავების შემდეგ „შალკეს“ მწვრთნელს სკამი შეუჯანჯღარეს. გუნდს საჩემპიონო პრეტენზია აქვს, არადა უკვე ორი ტურია, არ მოუგია. მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ ფრის და ჩემპიონთა ლიგაში პსვ-სთან მარცხის მერე რუდი ასაუერმა რანგნიკს „ლექცია წაუკითხა“, მაგრამ აქედან არფერი, ანუ კაცნაკლულ „ჰერტასთან“ უღიმღამო თამაში გამოვიდა.

„შალკეს“ თავკაცმა კლუბის პატრონს კიდევ ერთი ლექციის წაკითხვის საბაბი მისცა. „გუნდის გარშემო შექმნილი ვითარება ნერვებს გვიწამლავს — თქვა კურანიმ — მწვრთნელი კი არა, ჩვენ ვართ დამნაშავენი, რადგან გოლი ვერ გაგვაქვს“.

„ბევრი რამ გადამხდა ამ გუნდში, მაგრამ არ მესმის რანგნიკს რას ერჩიან“ — განაცხადა ებე სანდმა.

„შალკე“ ხვალ „ნიურნბერგს“ სტუმრობს და ტრავმირებულ ჯერალდ ასამოას ვერ დაიხმარს. „ხუმარებმა“ ეს მატჩიც თუ ვერ მოიგეს, რანგნიკს ნაღდად აღარ ექნება საქმე სახუმაროდ.

რუდი ფიოლერის ხელში გაცოცხლებული „ბაიერი“ „კიოლნს“ უმასპინძლებს. ლევერკუზენელთა აღმასრულებელმა დირექტორმა ვოლფგანგ ჰოლცჰაუზერმა „დუისბურგთან“ გამარჯვების შემდეგ თქვა ყაბულს ვარ ფიოლერის მწვრთნელობაზეო, მაგრამ ბუნდესნაკრების ყოფილი თაკაცი უარზეა, მას ოფისში მუშაობა ურჩევნია. თუმც დღეს „ბაიერს“ ისევ ფიოლერი უთავკაცებს, მერე კი გუნდს ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ. „ბილდის“ ცნობით, ყველაზე რეალური კანდიდატი მათიას ზამერია, თუმც მათეუსზე და მიხაელ სკიბეზეც საუბრობენ.

ჯერჯერობით ქულადაუკარგავი „ბაიერნი“ ფრანკფურტის „აინტრახტს“ მიხაელ ბალაკის, ოუენ ჰარგრივსის, კლაუდიო პიზაროსა და როკე სანტა კრუზის გარეშე ეწვევა. უამათოდ ჩემპიონს „ჰანოვერთან“ მოგება გაუჭირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამ ქულას ფრანკფურტიდან იოლად ვერ წაიღებს.

ფელიქს მაგათი კი უკეთეს „ბაიერნს“ გვპირდება: „რეკორდს ყოველდღე არ ამყარებ. ამიტომ ამ მომენტით უნდა დავტკბეთ, მაგრამ გუნდს ბევრად მეტი შეუძლია და ამაზე უნდა ვიმუშავოთ“.

ბერლინის „ჰერტას“ „დიუსბურგი“ რვა საშინაო მატჩში მხოლოდ ორჯერ დაუმარცხებია, მაგრამ აქვე უნდა ვქთვათ, რომ „დუისბურგმა“ ბუნდესლიგაში სტუმრად ნათამაშევი ბოლო თერთმეტი შეხვედრიდან ათი წააგო. „ჰერტას“ დისკვალიფიცირებული ჟილბერტო დააკლდება, რომელიც „შალკესთან“ გააძევეს.

ცამეტი წლის წინ დორტმუნდის „ბორუსიამ“ „არმინიას“ 1:1 მოუგო, მაგრამ დღეს ამ გუნდებს შორის არაა ისეთი სხვაობა, რომ „შავ-ყვითლებმა“ მეტოქეს იოლად გადაურბინონ. მასპინძლებს ფორვარდი დელრონ ბაკლი ჰყავთ დაშავებული, სტუმრებს კი ნახევარმცველი ვატმირ ფატა.

მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ კრისტიან ციგე, კასპერ ბოგელუნდი და უესლი რონკი დააკლდება „ვერდერთან“ მატჩში, რომელიც ბუნდესლიგაში [illegible]ლიანი გუნდია. ბრემენელებს ისევ ვერ დაეხმარება მეგოლე ნელსონ ვალდესი, თუმც „მუსიკოსებმა“ წინა ტურში მის გარეშეც მოიგეს. კლოზე-კლასნიჩის დუეტი ბარაქიანად ირჯება. „ვერდერის“ 16 გატანილიდან 11 ამ წყვილის ანგარიშზეა.

უეფას თასზე „დომჟალესთან“, გასულ უქმეებზე კი მაინცში მოგების შემდეგ „შტუტგარტი“ ჩემპიონატში პირველ საშინაო მოგებას ელის. ჯოვანი ტრაპატონის გუნდს უკეთესობა დაეტყო, თუმც თომას დოლის „ჰამბურგთან“ დოლ-გარმნით ვერ გაისტუმრებს. დაცვით ნაქებმა ჰამბურგელებმა აქამდე მხოლოდ სამი გოლი გაუშვეს და მათი გატეხვა „შტუტგარტსაც“ გაუჭირდება. ტრაპატონის იონ დალ ტომასონის ეიმედება, რომელიც დანიელ ლუბოიასთან ერთად შეუტევს.

„მიხარია, რომ როგორც იქნა მოვიგეთ. ჩვენ თამაშს უკეთესობა ეტყობა, რაც მახარებს და მაიმედებს. მაგალითად რამდენიმე კვირის წინ ასეთ მატჩს წავაგებდით...“ — განაცხადა ჯოვანი ტრაპატონიმ შაბათს სალამოს „მაინცთან“ მატჩის შემდეგ.

„მაინცი“ შარშან ამ დროს ზედა ხუთეულში იყო გამოჭიმული, წლეულს კი ცალი ფეხით უკვე მეორე ბუნდესლიგელია. მიჯრით წაგებულ ხუთ მატჩში გაშვებულ ათ გოლს დღეს, ალბათ ერთი-ორს „კაიზერსლაუტერნიც“ წუმატებს. მათ ხომ ჩემპიონატის ბომბარდირი, ჰამიტ ალტინტოპი ჰყავთ.




# ყველაფერი ახლა იწყება თუ დამთავრდა?



ნიკი ბატს (შუაში) გინებისთვის მძიმე სასჯელი ელის

**ალბათ** არავინ იტყვის, ჩემპიონატის დაწყებიდან 6 ტურის მერე ყველაფერი დასრულდაო და არც უნდა თქვას. თუმც თუ ინგლისელი ჟურნალისტების კომენტარებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ უმეტესობის აზრი ასეთია — დღესდღეობით პრემიერლიგაში „ჩელსის“ კონკურენტი არ ჰყავს. ალბათ ამის საწინააღმდეგოს დამტკიცება შეუძლებელია.

ამის მიუხედავად, ყველაფერი წინ არის და სხვა გრანდების ათამაშებას ელოდებიან. პირველ რიგში ეს „ლივერპულს“ ეხება, რომელმაც ძალიან მძიმედ დაიწყო. მერსისაიდელთა თავკაცი რაფაელ ბენიტესი კი გაიძახის, ცოტაც გვაცალეთ და ყველაფერი დალაგდებაო.

დაახლოებით იგივეს ამბობს ალექს ფერგიუსონიც, თუმც „მანჩესტერმა“ უკვე დაიწყო ქულების დაკარგვა და შოტლანდიელიც საგრძნობლად ანერვიულდა. მოგეხსენებათ, იგი მთელი ზაფხული ამბობდა, პირველ ტურებში ქულები არ უნდა დავკარგოთ, თორემ საქმე ძნელად წავაო. ფერგიუსონს ყველაზე კარგად ესმის, რომ ცუდი დასაწყისის მერე „ჩელსის“ დაწევა ძალიან ძნელი იქნება.

პრემიელიგის კიდევ ერთი მთავარი ფიგურა არსენ ვენგერი კი დუმს. ფრანგ სპეციალისტს აშკარად სერიოზული პრობლემები შეექმნა. იგი ჯერჯერობით ერთიორად გადახალისებული „არსენალის“ დალაგებას ვერ ახერხებს. ასე რომ, ბევრის ვარაუდი მართლდება — „მეთოფეებს“ წლეულს ძალიან გაუჭირდებათ. ლონდონელთა ქომაგები კი მაინც იმედიანად არიან, ახალგაზრდა ფეხბურთელები შეთამაშდებიან და ამ სეზონში თუ არა, მომავალში ძალიან ძლიერი გუნდი გვეყოლებაო.

„ჩელსისთან“ წაგებული მატჩის მიუხედავად, „ჩარლტონზე“ — ტკბილი სიტყვის მეტი არავის არაფერი დასცდენია. ალან კერბიშლის გუნდმა მრისხანე მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია და ხუთწუთიან მონაკვეთში გაშვებული ორი გოლი რომ არა...

კიდევ ერთმა სიმპათიურმა კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“ ასევე დასანანი მარცხი იწვნია „ბოლტონთან“. მანიკუნიანელებმა გრძელი წაუგებელი სერია შეწყვიტეს და ექსცენტრიული მწვრთნელი სტიუარტ პირსი ძალიან გააბრაზეს, რომლისთვისაც „სიტის“ თავკაცის რანგში ეს პირველი მარცხი იყო.

„ბოლტონი“ კი სპეციალისტების მოლოდინს ამართლებს და ნელ-ნელა ცხრილის სათავეში მიცოცავს. ვინ იცის, ეგებ ალარდაისის მშვენიერმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც იბრძოლოს.

„ნიუკასლიდან“ გაგდების პირას მყოფმა გრემ სუნესმა „ბლექბერთან“ გამარჯვების მერე ცოტა თვალში გამოიხედა და ჩვეულად იქადნება — ნავსი გავტეხეთ და ახლა კარგად ავთამაშდებითო.

„ბირმინგემის“ ხელმძღვანელობას და ფანებს კი ის ახარებთ, რომ ცხრათვიანი პაუზის შემდეგ გუნდს ტრავმამოშუშებული დავიდ დანი უბრუნდება.

მეორე ბირმინგემელ ნიკი ბატს რომელმაც გასულ ტურში წითელი ბარათიც „დაიმსახურა“ და უშვერი სიტყვებითაც ილანძღებოდა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, სავარაუდოდ, ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას არ აკმარებს. ეს 27 სექტემბრისთვის გაირკვევა. ხოლო „ტოტენჰემის“ მცველ ენტონი გარდნერს საკმაოდ სერიოზული ტრავმა აღმოაჩნდა და შეიძლება, ძალიან დიდი ხნით ჩამოშორდეს ფეხბურთს.

კოკი კანდელაკი



# ლიგის თასის დაპირისპირებანი

**მეოთხე** დივიზიონის ლიდერ „გრიმსბი თაუნს" შანსი მიეცა, ინგლისური ფეხბურთის ელიტის წარმომადგენელ „ტოტენჰემ ჰოთსპურს" საკუთარ კედლებში, „ბლუნდელ პარკზე" დაუპირისპირდეს.

დღევანდელი მატჩი ერთი იმ თორმეტთაგანია, რომლებშიც პრემიერლიგის გუნდები მონაწილეობენ. მათგან ერთი-ორი მაინც ყოველთვის აგდებს ხოლმე მათთვის ნაკლებადსაყვარელი ტურნირის სასტარტო ეტაპს.

„სანდერლენდი" მეოთხედივიზიონელ „ჩელტენემ თაუნს" მასპინძლობს, „ასტონ ვილა" „უიკომბ ვონდერერს" ესტუმრება, ხოლო „ჩარლტონი" „ჰართლპულს" შინ მიიღებს.

„გრმსბიმ" ბოლო შვიდი შეხვედრიდან ექვსი მოიგო, მაგრამ შესაძლოა, ამ უქმეებზე ეს სერია შეწყდეს. რაც შეეხება „სფურზს", მისმა დამრიგებელმა მარტინ იოლმა, იმის შემხედვარემ, თუ რა ჯაფა დაადგათ მის ბიჭებს „ვილასთან" საკვირაო თამაშის (1:1) პირველ ნახევარში, ეგებ ქვეყნის ალმოსავლეთ სანაპიროზე გასასეირნებლად დუბლშემადგენლობა წაიყვანოს. ჰოლანდიელს აქვს იმის გამოცდილება, რომ უფრო დაბალ დივიზიონებში მოასპარეზე გუნდები ადვილად ჩამოიშოროს.

მიკ მაკარტის „სანდერლენდი" სასოწარკვეთილია „ვესტბრომვიჩმა" დამატებულ დროში გოლი რომ გაუტანა, ამიტომაც „ჩელტენემთან" დაპირისპირებაში ირლანდიელი სავარაუდოდ უძლიერეს შემადგენლობას დააყენებს.

„ჩელტენემმა" კი „კარლაისლან" წააგო შინ, თუმც ანგარიში თავად გახსნა.

„ეს ყველაზე უარესი თამაში იყო სეზონში. მალე გავარკვევთ, რაშია საქმე" — განაცხადა წაგებულთა თავკაცმა ჯონ უორდმა. განწყობა დაახლოებით ისეთია, როგორიც „ვესტ ბრომვიჩთან" ფრის შემდეგ მაკარტის ჰქონდა: „დედაჩემმა მითხრა, რომ ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს შავი დღეები. მაგრამ მას არ დაუზუსტებია, როდის და რამდენი".

| 11210 | რომა-პარმა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11211 | ტრევიზო-სამპდორია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11212 | უდინეზე-იუვენტუსი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11213 | ლეჩე-ფიორენტინა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11265 | ბარსელონა-ვალენსია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11266 | ხეტაფე-მალიორკა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11267 | დეპორტივო-ბეტისი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11268 | მალაგა-ალავესი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11269 | რეალი-ბილბაო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11270 | რასინგი-ესპანიოლი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11271 | სელტა-კადისი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11273 | ვილიარეალი-სევილია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11274 | სარაგოსა-ოსასუნა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15092 | დორტმუნდი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | აინტრახტი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | ნიურნბერგი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ჰერტა-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | კიევო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | ემპოლი-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15206 | ასკოლი-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | მესინა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | მილანი-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | პალერმო-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | რომა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | ტრევიზო-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | უდინეზე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ლეჩე-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15265 | ბარსელონა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15266 | ხეტაფე-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15267 | დეპორტივო-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15268 | მალაგა-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15269 | რეალი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15270 | რასინგი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15271 | სელტა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15273 | ვილიარეალი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15274 | სარაგოსა-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17092 | დორტმუნდი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | აინტრახტი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17095 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ნიურნბერგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17204 | კიევო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ემპოლი-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17206 | ასკოლი-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17207 | მესინა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17208 | მილანი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17209 | პალერმო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17210 | რომა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ტრევიზო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17212 | უდინეზე-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17268 | მალაგა-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17269 | რეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17271 | სელტა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ვილიარეალი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12092 | დორტმუნდი-არმინია | 2.00 | 1.60 |
| 12093 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12094 | აინტრახტი-ბაიერნი | 2.00 | 1.60 |
| 12095 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 12096 | ნიურნბერგი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 2.10 | 1.50 |
| 12099 | ჰერტა-დუისბურგი | 2.00 | 1.55 |
| 12100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.10 | 1.55 |
| 12204 | კიევო-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 12205 | ემპოლი-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12206 | ასკოლი-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12207 | მესინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12208 | მილანი-ლაციო | 1.90 | 1.70 |
| 12209 | პალერმო-რეჯინა | 1.90 | 1.70 |
| 12210 | რომა-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12211 | ტრევიზო-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12212 | უდინეზე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12268 | მალაგა-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 12269 | რეალი-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 12270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12271 | სელტა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12273 | ვილიარეალი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13204 | კიევო-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13205 | ემპოლი-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13206 | ასკოლი-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13207 | მესინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13208 | მილანი-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13209 | პალერმო-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13210 | რომა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13211 | ტრევიზო-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13212 | უდინეზე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13268 | მალაგა-ალავესი | 1.70 | 1.90 |
| 13269 | რეალი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13271 | სელტა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13273 | ვილიარეალი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14092 | დორტმუნდი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14093 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14094 | აინტრახტი-ბაიერნი | 2.40 | 1.50 |
| 14095 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2.10 | 1.70 |
| 14096 | ნიურნბერგი-შალკე | 2.30 | 1.65 |
| 14097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.70 | 2.10 |
| 14098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.30 | 2.50 |
| 14099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.30 | 2.50 |
| 14204 | კიევო-ინტერი | 2.40 | 1.40 |
| 14205 | ემპოლი-კალიარი | 1.80 | 2.00 |
| 14206 | ასკოლი-სიენა | 1.75 | 2.10 |
| 14207 | მესინა-ლივორნო | 1.80 | 2.00 |
| 14208 | მილანი-ლაციო | 1.20 | 2.50 |
| 14209 | პალერმო-რეჯინა | 1.20 | 2.50 |
| 14210 | რომა-პარმა | 1.30 | 2.40 |
| 14211 | ტრევიზო-სამპდორია | 2.00 | 1.80 |
| 14212 | უდინეზე-იუვენტუსი | 2.30 | 1.65 |
| 14213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.90 | 1.90 |
| 14265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.35 | 2.50 |
| 14266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.55 | 2.30 |
| 14267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.65 | 2.20 |
| 14268 | მალაგა-ალავესი | 1.60 | 2.10 |
| 14269 | რეალი-ბილბაო | 1.20 | 2.50 |
| 14270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 14271 | სელტა-კადისი | 1.30 | 2.40 |
| 14272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 14273 | ვილიარეალი-სევილია | 1.40 | 2.30 |
| 14274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.55 | 2.30 |

## ფრეს გარეშე. (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16092 | დორტმუნდი-არმინია | 1.15 | 3.30 |
| 16093 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.45 | 2.30 |
| 16094 | აინტრახტი-ბაიერნი | 3.80 | 1.13 |
| 16095 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2.10 | 1.55 |
| 16096 | ნიურნბერგი-შალკე | 2.60 | 1.55 |
| 16097 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1.60 | 2.10 |
| 16098 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.15 | 3.40 |
| 16099 | ჰერტა-დუისბურგი | 1.08 | 4.50 |
| 16100 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.20 | 3.30 |
| 16204 | კიევო-ინტერი | 2.50 | 1.25 |
| 16205 | ემპოლი-კალიარი | 1.50 | 2.00 |
| 16206 | ასკოლი-სიენა | 1.55 | 2.00 |
| 16207 | მესინა-ლივორნო | 1.60 | 2.00 |
| 16208 | მილანი-ლაციო | 1.06 | 4.50 |
| 16209 | პალერმო-რეჯინა | 1.10 | 4.60 |
| 16210 | რომა-პარმა | 1.12 | 3.60 |
| 16211 | ტრევიზო-სამპდორია | 2.00 | 1.50 |
| 16212 | უდინეზე-იუვენტუსი | 2.40 | 1.30 |
| 16213 | ლეჩე-ფიორენტინა | 1.90 | 1.55 |
| 16265 | ბარსელონა-ვალენსია | 1.15 | 3.80 |
| 16266 | ხეტაფე-მალიორკა | 1.35 | 2.50 |
| 16267 | დეპორტივო-ბეტისი | 1.45 | 2.30 |
| 16268 | მალაგა-ალავესი | 1.35 | 2.40 |
| 16269 | რეალი-ბილბაო | 1.06 | 4.60 |
| 16270 | რასინგი-ესპანიოლი | 1.60 | 1.90 |
| 16271 | სელტა-კადისი | 1.15 | 3.30 |
| 16272 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1.60 | 2.00 |
| 16273 | ვილიარეალი-სევილია | 1.25 | 3.20 |
| 16274 | სარაგოსა-ოსასუნა | 1.30 | 2.60 |

## უმაღლესი ლიგა

II ტური. 19 სექტემბერი

**ხულიგანა 6:13 ლოკომოტივი**

**ხულიგანა:** გოგა შკინინი, ბექა კუპრეიშვილი, დავით ჟამუტაშვილი, გოგიტა გრძელიშვილი, არჩილ ჭიჭინაძე; ტარიელ თალაკვაძე, ნიკო კრეპსი; გიორგი ხოსიტაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, ლევან გენებაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, გიორგი კენჭაძე, ზვიად კიკუაშვილი, მიხეილ მურვანიძე, ბექა შეყლაშვილი

*შეცვლაზე შევიდა:* ირაკლი დგებუაძე

*მთ. მწვრთნელი:* მ. ტყეშელაშვილი

*2 საჯარიმო:* გენებაშვილი; *სინ-ბინი:* ახვლედიანი

**ლოკომოტივი:** ნონო ანდღულაძე, ბიძინა სამხარაძე, რევაზ გიგაური, სანდრო გილაური, ვატო ჩიხლაძე; ბობა კვინიხიძე, ირაკლი ღვინჯილია; გიორგი ტრაპაიძე, ნიკა მხეიძე, ზვიად მაისურაძე, ზურაბ კორკოტაძე, გიგა ნიშნიანიძე, შოთა მელიქიშვილი, ბესიკ ქარაბაქი, დავით გასვიანი

*შეცვლაზე შევიდა:* ზვიად კობერიძე

*მთ. მწვრთნელი:* თ. ბენდიაშვილი

**ყოჩები 7:19 ლელო**

### მაგთიკომის პირველობა

# ლოკომ ხულიგანას სარბიელი არ დაანება



**საქართველოს** ჩემპიონატის მეორე ტური რაგბიში გუშინ ლოკომოტივის სავარჯიშო და ვარკეთილის მეურნეობის მოედნებზე გაიმართა. ვარკეთილში „ლელომ“ პირველი მატჩი ითამაშა და „ყოჩებს“ 19:7 მოუგო.

მეორე შეხვედრა, როგორც მოგახსენეთ, ლოკომოტივის სავარჯიშო მინდორზე წარიმართა და აქაურები ამჯერად სტუმრის სტატუსით ეთამაშნენ უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „ხულიგანას“, რომელმაც საქართველოს თიხუზის ჩემპიონი „სარბიელის სინისთვის“ ბრძოლაში გამოიწვია.

პირველივე წუთებიდან ეკვეთა „ხულიგანა“ ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტს და კარგადაც შეუტია. „ლოკომოტიველებს“ თითქოს დაბნეულობა ეტყობოდათ. ეტყობა, „მასპინძლების“ ასეთ შემოტევას არც ელოდნენ და რომ არა გამოცდილება და დაცვაში ზუსტი თამაში, ევებ „ხულიგანას“ დებიუტშივე გაეხსნა ანგარიში.

მეათე წუთისთვის ბობა კვინიხიძემ შეძლო ბურთის ფეხით ამოტანა და „ხულიგანას“ მიერ არცთუ კარგად მოწოდებული აუტის წყალობით, როგორც იქნა, მეტოქის ნახევარზე მოიკიდა ფეხი.

ორიოდ წუთში „ლოკოს“ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცა. ჩათვლის ხაზიდან ორმოციოდე მეტრის მოშორებით ბურთი მოიხელთეს და ჯიქურ ათრიეს ოციოდ მეტრი, რასაც „ხულიგანას“ მხრიდან თამაშის წესების დარღვევა მოჰყვა და კვინიხიძემ ბურთი კარში დასარტყმელად გაამზადა. ბობას მიზანმა უმტყუნა და ამის შემდეგ ბურთი ისევ „ხულიგანამ“ იგდო ხელთ, რამდენჯერმე სცადა კიდეც კარგი შეტევის განვითარება, თუმცა ტაიმის შუაწელში „სტუმრები“, ეტყობა, საბოლოოდ მოეგნენ გონს და თამაში გაათანაბრეს.

რამდენიმე ეპიზოდში ბურთი უაზროდ რომ არ გავარდნოდათ ხელიდან, კარგი შეტევის წამოწყებაც შეიძლებოდა, ოცდამეთერთმეტე წუთზე კი „ლოკომოტივს“ პირველად მიეცა ლელოს გატანის რეალური შანსი.

მარცხენა ფრთაზე წამოწყებულ შეტევაში ბურთი მარჯვენა ფრთაზე სწრაფად გამოათამაშეს, ნონო ანდღულაძემ კარგად ირბინა, ერთი მეტოქეც ჩამოიტოვა, თუმცა ბოლოს ჩამკეტ პარტნიორს პასი დაუგვიანა და „ხულიგინამ“ ნონოს შეჩერებაც შეძლო და მთლიანად შეტევისაც.

ტაიმის ბოლო წუთებში ორივე გუნდმა მოუხშირა შეცდომებს, მაგრამ ოდნავ უფრო დალაგებულად მაინც „ლოკომოტივი“ ათამაშებდა ბურთს და ამ ტაიმშითა ვინმეს ლელოც უნდა დაედო, სწორედ „ლოკომოტივს“.

ასეც მოხდა. მარჯვენა ფრთაზე „ლოკომ“ აუტიდან მოწოდებული ბურთი მოიხელთა, მარცხნივ ჩაათამაშა და მოედნის კუთხეში, ჩათვლის მოედნამდე ათიოდ მეტრში „ხულიგანამ“ წესების დარღვევითღა შეძლო მომხვდურების შეჩერება. ვაკელებმა ბურთი იქვე სწრაფად გაათამაშეს, ჯერ ოდნავ მარჯვნივ გამოიწიეს, შემდეგ ისევ მარცხნივ შეიჭრნენ და საბოლოო ჯამში ზვიად მაისურაძეს მიართვეს, რომელიც მეტოქის რიგებში შეიჭრა და მას ჩათვლის მოედანზე მოუძებნა ადგილი.

ბობა კვინიხიძემ გარდასახა და პირველი ნახევრის ბოლო წუთზე „ლოკომოტივი“ 7:0 დაწინაურდა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კვინიხიძემ საჯარიმო დარტყმით ანგარიში ათამდე გაზარდა და „ლოკომოტივი“ ინიციატივას დაეუფლა. სულ უფრო მეტად ჩანდა, რომ „ხულიგანას“ მატჩის ბედის შემობრუნება გაუჭირდებოდა, თუმცა დებიუტანტთა სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ დანებება წამითაც არ უფიქრიათ და მრისხანე მეტოქეს შეძლებისდაგვარად ტოლ-სწორად ეთამაშებოდნენ.

უკანა ხაზში განსაკუთრებით შკინინი აქტიურობდა, ანგარიშში სხვაობის შემცირება კი ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმის წყალობით ლევან გენებაშვილმა შეძლო. 6:10-ზე „ხულიგანას“ ქომაგს, რომელიც უნდა ითქვას, რომ მართლაც განსაკუთრებული აქტიურობით უჭერდა მხარს საყვარელ გუნდს, იმედი დაუბრუნდა, თუმცა კვინიხიძის კიდევ ერთმა ზუსტმა საჯარიმომ სხვაობა შვიდამდე გაზარდა და ანგარიშიც ამის შემდეგ აღარ შეცვლილა.

„სარბიელის სინი“ ლოკომოტიველებს დარჩათ, დამსახურებული 2 ქულაც მათვე ჩაიწერეს, მაგრამ „ხულიგანამ“ ტრიბუნებზე დამსწრეთ ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს ჩემპიონატს კიდევ ერთი ძლიერი გუნდი შეემატა.

**ლადო ფულუკიძე**

**ბადრი კეთილაძის** ფოტოები

### პირველი ლიგა

II ტური. 13 სექტემბერი

**თელაველები 11:43 არმაზი**

**თსუ 27:13 აია**

III ტური. 18 სექტემბერი

**არმაზი 18:10 დინამო**

**აია 33:11 თელაველები**

**ელიტი 14:27 თსუ**

### უმაღლესი ლიგა

| | თ | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 58:11 | 4 |
| ლელო | 1 | 1 | 0 | 0 | 19:7 | 2 |
| ხულიგანა | 2 | 1 | 0 | 1 | 30:31 | 2 |
| აკადემია | 1 | 0 | 0 | 1 | 18:24 | 0 |
| ყოჩები | 2 | 0 | 0 | 2 | 12:64 | 0 |

### პირველი ლიგა

| | თ | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმაზი | 3 | 3 | 0 | 0 | 80:38 | 6 |
| აია | 3 | 2 | 0 | 1 | 91:57 | 4 |
| თსუ | 3 | 2 | 0 | 1 | 71:56 | 4 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 38:21 | 2 |
| ელიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 33:72 | 0 |
| თელაველები | 3 | 0 | 0 | 3 | 25:105 | 0 |















# ოპერაციის დღე

## სანიკიძე ნახევარი სეზონი სანანტონიელი იქნება

გასული სეზონის ბოლოს ვიქტორ სანიკიძე თბილისში რომ დაბრუნდა, ეროვნულ ჩემპიონატში საპლეიოფო ჯახები მიმდინარეობდა და პირველი, რაც ფრანგული „დიჟონის“ ქართველმა ლეგიონერმა იკითხა, ის იყო, ვინ ტენის ყველაზე მაგრაო. ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ სანიკიძეს ჩატენვა ძალიან უყვარს და ალბათ სწორედ ამიტომაც დასჭირდა ორივე მუხლზე ოპერაციის გაკეთება. „ვიკას“ ქართველ კალათბურთელებს შორის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნახტომი აქვს და მოედანზე როცაა, საჰაერო ორთაბრძოლებს არ ერიდება. მას კარგა ხანია, მუხლების ტკივილი აწუხებდა და ეროვნულ ნაკრებში ამის გამო ვერ ითამაშა, თუმც ამას სულ მალე ბოლო მოეღება. ორი დღის წინ სანიკიძე ამერიკაში, კერძოდ შარშანდელ დრაფტზე მის ამრჩევ „სან ანტონიოში“ წავიდა და ამ კვირაში კლუბი მას ოპერაციას გაუკეთებს. დანარჩენი თავად „ვიკასგან“ შევიტყოთ, რომელსაც სან ანტონიოში დავუკავშირდით...

— ორი დღეა, სან ანტონიოში ჩამოვედი და ველოდები, როდის გავიკეთებ ოპერაციას.

**— აქამდე რატომ არ გაიკეთე, კარგა ხანია, აპირებდი...**

— საფრანგეთში შევყოვნდი, რადგან ჩემი ახლანდელი კლუბი „დიჟონი“ სადაზღვევო კომპანიისგან ელოდა იმის ნებართვას, რომ ოპერაცია ამერიკაში გამეკეთებინა.

**— ოპერაციის დღე დადგენილია?**

— ხვალ-ზეგ ექიმი საბოლოოდ გადაწყვეს. წესით, ამ კვირას არ უნდა გადასცდეს. მანამდე ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ მსუბუქად და ვეცნობი „სან ანტონიოს“ შიდა სამზარეულოს. უკვე შევხვდი გრეგ პოპოვიჩს, კლუბის ადმინისტრაციას და მოთამაშეებს. უმეტესობა ახლა შვებულებაშია. მხოლოდ ახალგაზრდები და ახალწვეულები დადიან ბაზაზე.

**— ბაზაზე ცხოვრობ?**

— არა, სასტუმროში, მაგრამ ოპერაციას რომ გავიკეთებ, ცალკე ბინაში გადავალ. რეაბილიტაციას სავარაუდოდ 3-4 თვე დასჭირდება და ამ პერიოდს სან ანტონიოში გავატარებ ექიმებისა და მწვრთნელების მეთვალყურეობის ქვეშ. ბინასთან ერთად მანქანასაც მომცემენ და რამდენიმე თვე სანანტონიელი ვიქნები.

**— დატოვებასაც ხომ არ გიპირებენ?**

— არა, როცა მწყობრში ჩავდგები, ისევ საფრანგეთში დავბრუნდები, მაგრამ არა „დიჟონში“. ჯერ არ ვიცი ზუსტად, მაგრამ სავარაუდოდ, ალბათ, პარიზის „რასინგში“ წავალ, რომელსაც გორდონ ჰერბერტი წვრთნის.

**ირაკლი პერტაია**



## საქართველოს XVI ჩემპიონატი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

პირველი წრე. 19 სექტემბერი

**სტუ-შევარდენი 35:19 ქარიშხალა**

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, წივწივაძე (გაიტანა 11 გოლი), გ. კობახიძე (6), ნადირაძე (5), ტალახაძე (5), ჩუბინაშვილი (4), ა. ყიფიანი (3), ცოტაძე (1)
**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, მსხვილიძე (5), ჯორბენაძე (3), გოგალაძე (2), ბერძენიშვილი (2), საჯაია (2), სიგუა (1), გ. ჩიქოვანი (1), ი. ტორონჯაძე (1), მელქოშვილი (1), ამირანაშვილი (1)
*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**სსსსუ-მამული 27:24 თელავი**

**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, ხუციშვილი (6), შონია (6), შათირიშვილი (5), სიხარულიძე (3), გელაშვილი (2), ზაქარიაშვილი (2), მაისურაძე (1)
**თელავი:** ბადურაშვილი, ამბარდანიშვილი, გიორგელაშვილი (14), მეტრეველი (5), ჩიკვაიძე (3), იაგორაშვილი (2), სვიმონიშვილი, ხარებაშვილი
*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

# სასურველად ვერ დავიწყეთ

**მთლად** ხეირიანად ვერ დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა ჩვენი მე-16 ეროვნული ჩემპიონატი.

სარეკორდო ათგუნდა გასული სეზონის შემდეგ კი ვიცოდით, რომ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ყოველმხრივ გამართლებული რეორგანიზაციის შედეგად 2005-06 წლების ჩემპიონატში ათის ნაცვლად ექვსი გუნდი უნდა ჩაბმულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დამცირებული რაოდენობაც შეიკვეცა.

მიზეზი? ვფიქრობთ, ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქუთაისში ხელბურთი აღარ უნდათ. კი, ბატონო, ფინანსური პრობლემა ვის არ მოსძალებია, მაგრამ იმის იგნორირება, რომ საკუთარი უნიათობის გამო შარშან ლუქსემბურგში ევროთასის თამაშზე დაგვიანებისთვის საჯარიმო 9 600 ევროს გადაუხდელობა იმ პრიმიტიული მოტივით, თავი დაგვანებეთ, ფული არ გვაქვსო, ვერაფერი გამართლებაა.

ევროფედერაციაში ეს ჩვენი წელგაუმართაობა ალბათ, დიდად არ ანაღვლებთ თუ არ გადავიხდით, ორი-სამი წლით მთელ ქართულ კლუბებს სარბიელიდან მოგვკვეთენ. ჩვენი ხელბურთის ასოციაციასაც რაღა დარჩენოდა, საკუთარი სახსრებით და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჯიბის დახმარებით მოახერხა ამხელა დავალიანების დაფარვა, ქუთათურთა ხელმძღვანელები კი მაინც ყურს არ იბერტყავენ, ეროვნულ ასოციაციასაც მოთმინების ფიალა გადაევსო და „ქუთაისი“ გუშინ დაწყებული საქართველოს ჩემპიონატიდან მოიკვეთა.

მოკლედ, ახალ ჩემპიონატში ხუთი გუნდიღა დარჩა — ქვეყნის 15-გზის ჩემპიონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენი“, ვიცე-ჩემპიონი „ხ-კ თბილისი“, ბრინჯაოს პრიზიორი — საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამული“, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალა“ და „თელავი“.

ნიშანდობლივია, რომ ყოველმა მონაწილემ შემადგენლობაში საგრძნობი ცვლილება განიცადა, რაზეც ხვალინდელი თამაშების მიმოხილვისას უფრო დაწვრილებით ვიტყვით.

**გია ახალაძე**



გიორგი წივწივაძეს ახლა გოლები „სტუ-შევარდენისთვის“ გააქვს



# ყველაფერი შესაძლებელია

**ამ** ზაფხულს სინგაპურში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე კენჭისყრის შედეგად ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან, როგორც ცნობილია, სოფტბოლი ამოიღეს. მაშინ სოფტბოლს ადგილის შესანარჩუნებლად ერთადერთი ხმა დააკლდა, მაგრამ წესი-წესია და ეს სოფტბოლმაც თავის თავზე გამოსცადა. მიუხედავად ამისა, ეს გადაწყვეტილება ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მკვეთრად გააკრიტიკა და ამ სახეობას ქომაგად დაუდგა.

და აი, ახლა ირკვევა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შესაძლოა გადახედოს თავის გადაწყვეტილებას და 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს სოფტბოლი დაუბრუნოს.

„ჩვენ გადაწყვეტილებას კიდევ ერთხელ გადავხედავთ. ყველაფერი შესაძლებელია“ — თქვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა.

# ლოს ანჯელესის ოლიმპიური ამბიცია

**როგორც** ვიუწყებოდით, ლოს ანჯელესმა გადაწყვიტა 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ იბრძოლოს. თუმცა, ლოსანჯელესი ერთადერთი ამერიკული ქალაქი არ არის, რომელსაც ასეთი სურვილი გასჩენია. ვარაუდობენ, რომ ამ თამაშების ხელში ჩასაგდებად იბრძოლებს ჩიკაგო, სან ფრანცისკო და ვაშინგტონი. რა თქმა უნდა, ამას სამივე ქალაქი ერთდროულად ვერ შესძლებს, რაკიღა ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ ქალაქს, შეუძლია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტში განაცხადის წარდგენა.

იმას, თუ ვინ იბრძოლებს ამ ქვეყნიდან 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ, 2007 წელს გადაწყვეტს ამერიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიური ამის თაობაზე საბოლოო ვერდიქტს 2009 წელს გამოიტანს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ლოს ანჯელესი უკვე ორჯერ — 1932 და 1984 წლებში იყო ოლიმპიური დედაქალაქი.

# ქართუს ქართული კვარტეტი დაიწყებს

**სამდღიანი** საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ დღეს „ქართუს თასის“ ძირითადი ბადის შეხვედრები გახურდება. შესარჩევი ციკლი თორმეტიდან მხოლოდ ერთმა ქართველმა გადალახა. 16 წლის სოფო შაფათავამ ორი შეხვედრა მოიგო და საკვალიფიკაციოს რვა საუკეთესოში მოხვდა.

ძირითად ბადეში შაფათავას გარდა კიდევ სამი ქართველია. „ბორჯომის თასის“ მომგები მაკა ჩახნაშვილი „ქართუს თასზე“ მე-6 ნომრადაა განთესილი, ხოლო ნანა უროტაძეს და სოფო ქვაცაბაიას ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდები“ მისცეს.

გუშინ საფინალო საკვალიფიკაციო შეხვედრების გარდა ორი ძირითადი თამაშის ჩატარებაც მოესწრო და მათ შედეგებს ცხრილში გაეცნობით, ნაკრებურები კი კორტზე დღეს გავლენ. სამი მათგანი ცენტრალურ კორტზე ითამაშებს. ცხრა საათზე ქვაცაბაია რუს ოლგა პანოვას დაუპირისპირდება. ამ შეხვედრის დასრულებისთანავე სათამაშოდ უროტაძე და რუსი ირინა კოტკინა გავლენ, მერე კი ჩახნაშვილი ასევე რუს ანა ლაპუშენკოვას ეთამაშება. შაფათავა დაახლოებით ჩახნაშვილის თამაშის პარალელურად მესამე კორტზე შეეცდება ტურნირის მეოთხე ნომრის, ბელარუსი ეკატერინა ძეჰალევიჩის წინააღმდეგობის დაძლევას.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სოფო შაფათავა საკვალიფიკაციოდან გასული ერთადერთი ქართველია

## ქართუს თასი. თიხნარი საპრიზო 25 000 $

1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ტატიანა უვაროვა (1, ბელარუსი)
- ნატალია ბოგდანოვა (კვ. უკრაინა)
- ირინა კოტკინა (რუსეთი)
- ნანა უროტაძე (საქართველო)
- ვერონიკა კაპშაი (კვ. უკრაინა)
- სარა ერანი (იტალია)
- სოფო ქვაცაბაია (საქართველო)
- ოლგა პანოვა (რუსეთი)
- ვასილისა ბარდინა (3, რუსეთი)
- ევგენია როდინა (რუსეთი)
- კრისტინა გრიგორიანი (კვ. რუსეთი)
- მარია გეზნენგე (ბულგარეთი)
- ანა ტიმოტიჩი (სერბეთი)
- ტატიანა კაპშაი (კვ. ბელარუსი)
- ანა ლაპუშენკოვა (კვ. რუსეთი)
- მაკა ჩახნაშვილი (6, საქართველო)
- ნადეჟდა ოსტროვსკაია (5, ბელარუსი)
- პემრა ოზგენი (თურქეთი)
- ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი)
- ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა)
  - ტეპლიაკოვა 6:0 7:6 (7:3)
- ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხეთი)
- ანჟელიკა როეში (გერმანია)
- სოფო შაფათავა (კვ. საქართველო)
- ეკატერინა ძეჰალევიჩი (4, ბელარუსი)
- კაროლინა კოსინსკა (7, პოლონეთი)
- კრისტინა ანტონიუჩუკი (კვ. უკრაინა)
- მარინა შამაიკო (რუსეთი)
- ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა)
  - ლიუბცოვა 6:2 6:3
- ელენა კულიკოვა (რუსეთი)
- ვოჟისლავა ლუკიჩი (კვ. სერბეთი)
- მადალინა გოჟნეა (რუმინეთი)
- სანდრა ზაჰლავოვა (2, ჩეხეთი)



AFP პარიზიდან

რუსთა ნაკრები თავისი ნადავლით

# ჟორჟ გოვენი: დემენტიევა სუპერქალია

**რუსმა ჩოგბურთელმა ქალებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ფედერაციის თასი, როლან გაროსის, სტადიონზე მათ ფინალში დაამარცხეს მასპინძელი საფრანგეთის ნაკრები — 3:2. გადამწყვეტ წყვილთა შეხვედრაში ელენა დემენტიევამ და დინარა საფინამ მოუგეს ამელი მორესმო — მარი პირსის წყვილს — 6:4 1:6 6:3.**

**ამ შეხვედრამდე მარი პირსმა სძლია ანასტასია მისკინას (6:4 1:6 6:3). მანამდე ელენა დემენტიევამ მოუგო ამელი მორესმოს (6:4 4:6 6:2), რითაც მან თანაგუნდელები დააწინაურა**

**შარშან** როცა რუსეთის ნაკრებში იყვნენ ანასტასია მისკინა, სვეტლანა კუზნეცოვა, ვერა ზვონარევა და ელენა ლიხოვცევა, ასევე ფრანგებს ფინალურ ტურნირში სძლიეს. ოღონდ მაშინ ეს შეხვედრა მოსკოვში გაიმართა.

წლევანდელი პაექრობის დამთავრების შემდეგ ელენა დემენტიევამ თქვა, რომ ნებისმიერ მატჩში „იგებს და აგებს მთელი გუნდი.“

აღსანიშნავია, რომ რუსი ქალების წლევანდელი ნაკრები თავისი საუკეთესო შემადგენლობით არ გამოდიოდა. მომავალ თასის გათამაშებაში რუსებს ალბათ დაემატებათ მათი ლიდერი — მარია შარაპოვა. ამის თაობაზე რუსეთის ნაკრების კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა თქვა:

„წინასწარი მოლაპარაკება ამის თაობაზე უკვე არის, ხოლო ითამაშებს თუ არა იგი, ეს მასზეა დამოკიდებული“.

მაგრამ დავუბრუნდეთ პარიზში გამართულ ფინალს. ამ შეხვედრამდე დემენტიევა და მორესმო რვაჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. 1998-დან 2003 წლამდე დემენტიევამ და მორესმომ ოთხჯერ ითამაშეს და ოთხივეჯერ ფრანგმა იმარჯვა. იმავე 2003 წელს ფრანგ და რუს ჩოგბურთელს შორის 4 მატჩი გაიმართა და აქედან რუსმა, როგორც იქნა, ფრანგს სძლია, აი, 2004 წელს კი ელენამ უკვე ორჯერ მოუგო მორესმოს. თანაც ეს მოხდა დიდი მუზარადის ტურნირებზე — საფრანგეთისა და ამერიკის ღია ჩემპიონატებში, სადაც ელენამ ფინალამდე მიაღწია.

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა ჟორჟ გოვენმა ფინალურ ტურნირში თავისი გუნდის დამარცხების მიზეზები მხოლოდ ერთი პრობლემით ახსნა. ეს პრობლემა ელენა დემენტიევა იყო.

„ელენა დემენტიევა — ეს სუპერქალია. დიახ, ამელი მორესმოსა და მარი პირსს არ გაუმართლათ, მაგრამ რუსები უბრალოდ ძლიერები იყვნენ. მეტიც, რუსები ბრწყინვალენი იყვნენ. რუსების გამარჯვებამ გამაოცა, რადგან მათ არა აქვთ ის სტრუქტურა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. თანაც მათ ფედერაციაში ორგანიზაცია ისე არ არის აწყობილი, როგორც ჩვენთან. ეგ კია, რუსეთში ჩოგბურთი უფრო მეტ ბავშვს იზიდავს, რომელთა მშობლები მომავალი ცხოვრების აწყობაზე ფიქრობენ და არ ოცნებობენ არც ვექილობაზე და არც დოქტორობაზე. რუსეთში არიან 13 წლის გოგონები, რომლებიც ყურადღებას მხოლოდ ჩოგბურთს უთმობენ. ჩვენ გვყავს მშვენიერი გუნდი კომპეტენტური შტაბით, მაგრამ ნაკრებს ექვსი ჩოგბურთელისგან ვარჩევთ, რუსეთი კი ოცისგან“ — თქვა ჟორჟ გოვენმა.

# კეთილმა საქმემ იმარჯვა



AFP სეულიდან

ვინუს უილიამსი



მარია შარაპოვა

**სამხრეთ** კორეის დედაქალაქ სეულის ოლიმპიურ გიმნაზიაში გაიმართა საჩვენებელი გამოსვლა მარია შარაპოვასა და ვინუს უილიამსს შორის. ორ სეტში გაიმარჯვა ვინუს უილიამსმა — 6:4, 6:4. თუმცა აქ მთავარი ის კი არ იყო, თუ ვინ იყოჩაღებდა, არამედ ის, რომ გაიმარჯვა კეთილმა საქმემ. ამ შეჯიბრებაში შემოსული თანხა, რამაც 30 000 დოლარი შეადგინა, საქველმოქმედო მიზნით გადაირიცხა.

## მსოფლიოს ჩემპიონატი

**27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა**

# ანანდს არგენტინაში ტანგო გაახსენდა

27 სექტემბერს სან-ლუისში მრავალჯერ ჩაშლილ-გადადებული მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. ფიდეს გადანყვეტილებით გათამაშებაში პლანეტის რვა უძლიერესი დიდოსტატი გამოვა, მათ შორის გამარჯვებული კი აბსოლუტურ ჩემპიონად გამოცხადდება და მსოფლიოს ერთი ნამდვილი ჩემპიონი ეყოლება.

ცნობისთვის — დღეს მსოფლიოს ჩემპიონობას ორი მოჭადრაკე იჩემებს: ფიდეს ვერსიით უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი, ხოლო კლასიკურით, რუსი ვლადიმერ კრამნიკი.

სამწუხაროდ, ტურნირზე არ გამოვა კრამნიკი და პლანეტის ნომერ პირველი მოჭადრაკე გარი კასპაროვი. შეგახსენებთ, რომ გარიმ ჭადრაკის თამაშს თებერვალში დაანება თავი და პოლიტიკაში გადაერთო, ხოლო კრამნიკმა საერთოდ უარი განაცხადა აქ მონაწილეობაზე.

ტურნირზე რეიტინგის მიხედვით ყველაზე ძლიერ მოჭადრაკე ინდოელი ვიშვანათან ანანდია და დღეს სწორედ მასზე შევჩერდებით

**ანანდი** 1969 წლის 11 დეკემბერს მადრასში დაიბადა, ჭადრაკის თამაში ექვსი წლისამ დაიწყო და მისი პირველი მასწავლებელი დედა იყო. მშობელმა ადრევე აღმოაჩინა შვილში ჭადრაკის დიდი ნიჭი და ყველაფერი იღონა, რათა მისგან საუკეთესო მოჭადრაკე გამოსულიყო. 200 წელს ვიში ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, თუმცა ორ წელიწადში ეს ტიტული დაკარგა. დღეს ანანდი ფიდეს რეიტინგით მეორეა.

ჩემპიონატის დაწყებამდე ანანდმა ათ შეკითხვას უპასუხა. დიდოსტატის აზრით ჩემპიონატზე დაუნდობელი ბრძოლა იქნება და შვიდივე მოწინააღმდეგე მისთვის სერიოზული მეტოქეა.



ვიშვანათან ანანდი

— რას ელოდებით ამ შეჯიბრებისგან?

— ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ტურნირია. ვფიქრობ, რომ რვავე მოწინააღმდეგე ერთმანეთს არაფერს დავუთმობთ და უშეღავათო ბრძოლები იქნება. მე ყველაფრისთვის მზად ვარ.

— როგორ შეფასებას აძლევთ ამ შეჯიბრების დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?

— ძალიან დაძაბული ტურნირი იქნება და მრავალი სანერვიულო გვექნება.

— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?

— გამარჯვების შანსი ყველას აქვს, გააჩნია ვინ როგორ დაიწყებს თამაშს. ვფიქრობ, შვიდივე ძნელი მეტოქეა ჩემთვის.

— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?

— ჯერ მაინცში სწრაფი ჭადრაკი ვითამაშე და არგენტინისთვის მზადებაც შემდეგ დავიწყე. რამდენიმე ფიზიკური ვარჯიშიც ჩავატარე და ამ გადატვირთული გრაფიკში დასვენების დროც გამოვნახე.

— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?

— მე 100 პროცენტით ვითამაშებ და ყველა მოწინააღმდეგეს საუკეთესო სვლებს შევთავაზებ, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ისინიც ასე ფიქრობენ.

— ვინ მოიგებს შეჯიბრს?

— მოთმენა, სტაბილური თამაში და დიდი მოტივაცია.

— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ. ეს თუ განსხვავდება მათგან?

— მართლაც, ჩვენ ბევრ დიდ ტურნირში გვითამაშია, მაგრამ ეს სულ სხვაა. გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება და ყველა აქ მონაწილე მოჭადრაკეს ეს უფრო დიდ აქტიურობას და ბრძოლისუნარიანობას გვძენს.

— მაყურებელი ბევრ სიახლეს ნახავს?

— ვიმედოვნებ, რომ ბევრი მაყურებელი შემოგვიერთდება და ყველა ჩვენ შეცდომას, ტკივილს და გენიალურ სვლებს დააფიქსირებს. მჯერა, რომ ყველა ნასიამოვნები დარჩება.

— რას არ გამოტოვებს მაყურებელი?

— რვავე მოწინააღმდეგე გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და ამისთვის ძალებს არ დავიშურებთ. პერსონალურად ჩემთვის ეს არის დიდი გამოწვევა და მაყურებელი ნამდვილ უშეღავათო ბრძოლებს იხილავს.

— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?

— ტანგო, პატაგონია, ესპანური. 1994 წელს ბუენოს აირესში ვიყავი, თუმც ქალაქის დათვალიერება ბოლომდე ვერ მოვასწარი. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში ძალიან სასიამოვნო დრო გავატარე.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

**იტალია. სენტ-ვისენტი. 18-24 სექტემბერი**

### I ტური

ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| ია თბილისი (საქართველო) | 4,5:1,5 | იავას-შაკი (ფინეთი) |
| 1 დაფა. ზვიად იზორია (საქართველო) | 0,5:0,5 | კაიდო კულაოტსი (ესტონეთი) |
| 2 მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | მიკა კარტუნენი (ფინეთი) |
| 3 მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 1:0 | რისტა ნევანლინა (ფინეთი) |
| 4 გიორგი გიორგაძე (საქართველო) | 1:0 | ტომი ფრანსილა (ფინეთი) |
| 5 ლევან ფანცულაია (საქართველო) | 1:0 | ტომი ლუუკონენი (ფინეთი) |
| 6 ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | სამი ჰამალაინენი (ფინეთი) |

მანდილოსნები

| | | |
|---|---|---|
| ნტნ თბილისი (საქართველო) | 2,5:1,5 | ფინეკი (რუსეთი) |
| 1 მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ირინა სლავინა (რუსეთი) |
| 2 ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 1:0 | ჟუდია დემინა (რუსეთი) |
| 3 ანა მათნაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ეკატერინა კორბუტი (რუსეთი) |
| 4 თამარ წერეთელი (საქართველო) | 0,5:0,5 | ტატიანა შადრინა (რუსეთი) |



# საბედისწერო მარათონი

**ერთდროულად** 4 სპორტსმენისთვის აღმოჩნდა უკანასკნელი დღე ლონდონში გამართული მარათონული გარბენი „გრეიტ ნორტ რანი". ორი ქალაქის, ნიუკასლისა და საუტ შილდსის მარათონელებს შორის გამართულ შეჯიბრებაში, რომელიც 50-ათასამდე კაცი მონაწილეობდა, ოთხმა კაცმა თავი ცუდად იგრძნო და ასპარეზობას გამოეთიშა, შემდეგ კი ოთხივენი გარდაიცვალნენ.

თავდაპირველად ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებებმა როცა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ 13 მილი (21 კმ) ყველაზე სწრაფად გაირბინა ზერსენაე ტადესემ და ამ შეჯიბრების რეკორდი (59 წუთი და 5 წამი) დაამყარაო, მაშინ იმ ოთხი მარათონელის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო.

„სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სპორტული ღონისძიებისას მისი ოთხი მონაწილე გარდაიცვალა. ეს ამ შეჯიბრების ისტორიაში ყველაზე ტრაგიკული შემთხვევაა" — განაცხადეს მოგვიანებით პოლიციის წარმომადგენლებმა.

ახლა იმ ოთხი უბედურის გარდაცვალების მიზეზებს ადგენენ. წინასწარი ინფორმაციით, ეტყობა, მათ ან გული გაუჩერდათ, ან ქანცის გაწყვეტის შედეგად თავის ტვინში სისხლი ჩაექცათ.



**WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP** მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

**XII ეტაპი. დიდი ბრიტანეთი. 325,4 კმ**

# სიკვდილი ტრასაზე

## ლოებმა ტიტული კაცურად გადადო



უბედური მაიკლ პარკი

**ტრაგედია** დატრიალდა უელსის გზებზე რბოლისას. დიდი ბრიტანეთის სარალო დიდი პრიზის გათამაშების მესამე, დასკვნით დღეს ესტონელ მძღოლ მარკო მარტინისა და ინგლისელ შტურმან მიკლ პარკის „პეჟო 307" ერთ-ერთ ჩქაროსნულ უბანზე გზას გადასცდა და უზარმაზარ ხეს შეეჯახა.

საშინელი ძალის დარტყმა თანამძღოლის მხარეზე მოვიდა, რის შედეგადაც 39 წლის ბრიტანელი მრავალრიცხოვანი ტრავმისგან გარდაიცვალა. მარტინი არ დაშავებულა.

პარკს მეუღლე და ორი შვილი დარჩა. უმაღლესი დონის პროფესიონალისთვის წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი მეცხრე იყო. 83 რბოლაში მონაწილეობდა, რომელთაგან ხუთი მოიგო, 18-ჯერ შედგა პოდიუმზე, საუკეთესო სასეზონო შედეგი კი შარშანდელი მესამე პრიზიორობა გახლდათ.

ამ ფატალური შემთხვევის შემდეგ რბოლა, ცხადია, უაზრო გახდა და დასკვნითი ორი ჩასათვლელი მონაკვეთი გაუქმდა. მაიკლის კოლეგები კარდიფში პოდიუმთან შეიკრიბნენ და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

იმ ავბედით მე-15 უბანზე მეორე პეჟოელმა მარკუს გრონჰოლმმა ბრძოლა შეწყვიტა, ხოლო რბოლის ლიდერმა სებასტიენ ლოებმა განზრახ ორი წუთით დააგვიანა საკონტროლო პუნქტთან მისვლა, რათა ამგვარ ტრაგიკულ ვითარებაში არ გაენაღდებინა ჩემპიონის ტიტული.

**გია ახალაძე**



AFP

დაზაფრულმა მრალეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპული კოლეგის ხსოვნას

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2სთ; 45.57,8 |
| 2 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი) | ჩამორჩა 1.17,4 |
| 3 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 1.17,9 |
| 4 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი) | 1.29,4 |
| 5 | მანფრედ შტოლი (ჩეხეთი, სიტროენი) | 2.35,0 |
| 6 | რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) | 3.17,3 |
| 7 | კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, შკოდა) | 3.30,4 |
| 8 | მაიკ ჰიგინსი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 3.40,9 |

### საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 99 ქულა; 2 პ. სოლბერგი — მილსი 65; 3 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 61; 4 მარტინი — პარკი 53; 5 გარდემაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, ფორდი) 47; 6 როვანპერა — პიეტილაინენი (ფინეთი, მიცუბისი) 27; 7 დიუვალი — მილსი 24; 8 კრესტა — მოჟნი 16; 9 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 16; 10 საინსი — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 11

### კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 137 ქულა, პეჟო 117, ფორდი 76, სუბარუ 72, მიცუბისი 53, შკოდა 13

# გოგომ ისკუპა, კაცმა კი მოიგო

ეს მოხდენილი გოგო სტრიკერი არ გამოდგა? ეტყობა შემთვრალი იყო. იშიშვლა მაისური და გოლფის მინდორზე გადაეშვა მობილურით ხელში. ლონდონის ახლოს, ვენტვორტში „მსოფლიო მატჩის" ფინალი იყო ირლანდიელ პოლ მაკგინლისა და ზელანდიელ მაიკლ კემბელს შორის. ასეთ გოლფზე კი ნეიტრალური მაყურებელი არ დადიან. კემბელმა კი მოიგო და თავის ცოლშვილთან აღმართა თასი.



AFP ვენტვორტიდან




# პილოტის ხსოვნა

ტალინში, „პეჟოს" ოფისის წინ, სანთლებს უნთებენ დაღუპულ ბრიტ რალისტს მაიკლ პარკს. პარკი კი ესტონელი მარკო მარტინის მეწყვილე იყო „პეჟო 307"-ზე და საშეჯიბრო ავარიას ემსხვერპლა.




AFP ტალინიდან




AFP მოსკოვიდან

# რუსული კროსი

საერთორუსულმა კროსმა წითელ მოედანზეც ჩამოირბინა. მორბენლებმა ბარე 44 ქალაქში ირბინეს, სულ კი რუსულ კროსში ნახევარ მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ღარსანია, გიორგი ვამეკაძე, სოსო კოტორეიშვილი, [illegible]
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილასონიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge